[illegible]

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ყოველდღიური გაზეთი

# კომუნისტი

თბილისი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, კრუზენშტერნის ქუჩა, № 4. ტელეფონები: საერთო—დღისა 14—76. სტამბის—ღამისა—79.

რედაქცია ღიაა ყოველ დღე დილის 10-დან 1 ს. კორესპონდენციები და მასალები მიიღება მთელი დღე.

სამშაბათი, 26 აპრილი, 1921 წ.

№ 45 საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და თბილისის კომიტეტის და საქართვ. რევ.-კომიტეტის ორგანო. № 45

## მენშევიკების „მუშაობა" ევროპაში

ჩვენ არა ერთხელ აღვნიშნეთ, რომ დამარცხებული საქართველოში მენშევიკური მთავრობა ვერ შეურიგდება თავის მდგომარეობას და შეეცდება უცხო ძალების დახმარებით აღადგინოს თავის დანგრეული ტახტი. ამას მენშევიკები არ მალავენ, პირიქით აშკარად ლაპარაკობენ ინტერვენციის შესახებ. ამ ინტერვენციისათვის ევროპაში არ არის დღეს ხელსაყრელი პირობები იმ აზრით, რომ იქაური ბურჟუაზია ჩართულია ბრძოლაში შინაურ მტერთან, ამდგარ პროლეტარიატთან. გარდა ამისა ომი საბჭოთა რუსეთთან არასოდეს არ ყოფილა პოპულიარული დასავლეთში და სწორეთ ამ გარემოებამ დააჩქარა ერთნაირი მშვიდობიანი ურთიერთობა, რომელიც ნელ-ნელა ფეხს იკიდებს რუსეთისა ამ ქვეყნების დამოკიდებულებაში. ისეთი რუსეთის რევოლიუციისადმი შეურიგებელი მტერი, როგორიც საფრანგეთის მთავრობაა, ისიც კი ლაპარაკობს დღეს დაუცხრომელ აღმოსავლეთის დიდ სახელმწიფოსთან სავაჭრო ხელშეკრულობის დადებაზე, რასაც მისივე აზრით ადრე თუ გვიან უნდა მოჰყვეს რუსეთში არსებული რეჟიმის ცნობა. ხოლო სამხედრო ინტერვენცია საქართველოში იქნებოდა ფაქტიურათ ომი საბჭოთა სახელმწიფოებთან, რომლის მუშათა კლასთან დაკავშირებულია საქართველო ერთი მიზნით და ძმური ურთიერთ დახმარებით.

მიუხედავათ ამისა გაქცეული მენშევიკების ცდა ინტერვენციის მოსაწყობათ რჩება ფაქტათ. ბევრ სხვა ცნობებთან ერთათ, რომელთა შესახებ ჩვენ გვქონდა ლაპარაკი წინეთ, საინტერესოა ამ მხრივ ინტერვიუ, რომელიც მიუცია კონსტანტინოპოლში გაზეთ „La Reveil"-ის თანამშრომლისთვის ნ. რამიშვილს. უკანასკნელი არ მალავს იმას, რომ მენშევიკური მთავრობა წავიდა ევროპაში დახმარების საძებრათ. კორესპონდენტის შეკითხვაზე იმის შესახებ, რომ რამდენათ მისაღებია მისი ამხანაგებისთვის, როგორც სოციალისტებისთვის, დახმარების გამოთხოვა იმპერიალისტური სახელმწიფოებისაგან საბჭოთა საქართველოს წინააღმდეგ, ნ. რამიშვილმა უპასუხა, როგორც კორესპონდენტი სწერს, „მეგობრული პროტესტის ხელის ნიშნით". ეჭვს გარეშეა ფრანგული გაზეთის თანამშრომელი ძალიან ცუდათ იცნობდა მენშევიკურ მინისტრებს, რომლებმაც კარიერა შეიქნეს ევროპაში სწორეთ იმპერიალისტებთან კავშირით და მის გულ-უბრყვილობას მიეწერება ნ. რამიშვილისთვის ასეთი კითხვის დაყენება. ჩვენ, ქართველ კომუნისტებს შეგვეძლო მოგვეყვანა საკმაოთ დამარწმუნებელი ფაქტები მენშევიკური მთავრობის მოღვაწეობიდან. ყოველ-შემთხვევაში აშკარა უნდა იყოს ყველასათვის რა სურვილები ასულდგმულებს მენშევიკებს ევროპაში. ევროპის საზოგადოების წინაშე ცილის წამებით სავსე აგიტაცია საბჭოთა საქართველოსა და რუსეთის წინააღმდეგ, ინტერვენციის თხოვა იმპერიალისტებისათვის,—ასეთია მათი მისწრაფება. ეს ხმა მაღლა განაცხადა ჯუღელმა, იმასვე იმეორებს რამიშვილიც.

„ჩვენ მოვემზადებით ხელსაყრელი მომენტისათვის... აჯანყება ისევეა მოსალოდნელი კავკასიაში, როგორც უკრაინაში" ო,—სთქვა ნ. რამიშვილმა.

ჩვენ გამოვდიოდით, სხვათა შორის, გაქცეულ მთავრობის მსგავს განზრახვებიდან, როდესაც ვარჩევდით აპრილის 10 ს მენშევიკების მიერ მიღებულ რეზოლიუციას და ამნაირადვე ვაფასებთ იმ კამპანიასაც, რომელიც დაიწყეს „ახალ სხიველებმა" მენშევიკების დასაცავათ, მათი გამურულ კონტრ-რევოლიუციონური სახის გასათეთრებლათ. ჩვენ წინ სდგას და „მუშაობის" დაწყებას ლამობს საქართველოში აშკარა კონტრ-რევოლიუციონური პარტია მენშევიკებისა და მათი „სხიველ" მეგობრებისა. ქართველი მშრომელი მასა და რევოლიუციონური მთავრობა, მდგარი რევოლიუციის სადარაჯოზე, კუთვნილს მიუზღავს, როგორც ერთს, ისე მეორესაც.

## „ერთობა" „ახალი სხივი"-ს ფსევდონიმით

მენშევიკური პარტიისა და მთავრობის მოღვაწეობამ, განსაკუთრებით უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ყრუ უკმაყოფილება დაჰბადა მუშებისა და გლეხების იმ ნაწილშიაც კი, რომელიც დიდი ხნით მათ ჯარს შეადგენდა. რაც დრო მიდიოდა ეს უკმაყოფილება მით უფრო და უფრო გარკვეულ ხასიათს ღებულობდა და ფართოვდებოდა. ეს აშკარა იყო ყველასათვის, აშკარა შეიქნა, რასაკვირველია, თვით მენშევიკებისათვისაც და არა ერთხელ თქმულა ამის შესახებ მათი პასუხისმგებელ მოღვაწეების მიერ ოფიციალურ ორგანოებშიაც განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მუშის ხალთაში დამალვა შეუძლებელი შეიქნა თვით მოხერხებულ ერთობელებისთვისაც. უკმაყოფილება იკვებებოდა იმ გარემოებით, რომ მწვავე ეკონომიური კრიზისით და მის გამართულებელ მთავრობის პოლიტიკით შევიწროებული ხალხი შეიქნა დამდგარი პირისპირ პარტიის წინაშე, რომელმაც ვერ გაამართლა ვერც ერთი „სოციალისტური", ვერც ერთი „დემოკრატიული" დაპირებანი, რომლებსაც ის უხვათ აბნევდა ათეულ წლების განმავლობაში, როგორც რევოლუციამდე ისე მის პირველ დღეებში. ხოლო ამ დარიგებული თამასუქების გაუნაღდებლობა ბუნებრივი იყო პარტიისათვის, რომელიც მიმდინარე რევოლიუციონური დროის პოლიტიკას კაპიტალიზმის უნივერსალური ნგრევის ხანაში ხედავდა ბურჟუაზიულ ურთიერთობათა გამაგრებაში, ამისთვის საჭირო სახელმწიფოს შენობაში, ზოგად-ნაციონალური ბურჟუაზიული პროგრამის გატარებაში და მის მიმდევარ მუშათა წრეების ინტერესების დავიწყებაში, რაც თავის თავათ უნდა მომხდარიყო.

ამ უკმაყოფილებამ საგრძნობი ნაწილი მენშევიკების მიმდევარ მუშებისა ისროლა ჩვენი ბანაკისკენ, ყველას ეხსომება ის ალიაქოთი, რომელიც გამოიწვია მენშევიკურ პარტიაში ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში პროფესიონალურ კავშირებში მომხდარმა ამბებმა, როდესაც ამ კავშირების პასუხისმგებელ პოსტებზე ჩვენი პარტიის მიერ წამოყენებულ კანდიდატებისათვის ხმის მიცემამ მასიური ხასიათი მიიღო თვით მენშევიკების მიმდევარ მუშებშიაც. მენშევიკური პარტიით, ამ საერთო უკმაყოფილების ატმოსფერაში ჰპოვა იმპულსი დამფუძნებელი კრების მენშევიკური ფრაქციის ზოგიერთ სხვა-და-სხვა მიზეზების გამო „აჯანყებული" წევრების გაბედულებამ და „დამოუკიდებელ" სოციალ-დემოკრატიული ჯგუფის სახით ორგანიზაციულათ გამოეყენ პარტიას. ფაქტიურათ ამ ჯგუფის ორგანოთ ითვლებოდა წინეთაც „ახალი სხივი".

მენშევიკური პარტიისა და მისი გზა აბნეული „სხიველების" „ოპოზიციის" შორის სადავო კითხვებში, იყო, მხოლოდ ერთი, რომელიც ატარებდა რამოდენიმეთ პრინციპიალურ ხასიათს და სწორეთ ამიტომაც ვერ ჰპოვა მან სათანადო განვითარება. შიშით, კრძალვით, ჩუთ ისმოდა აქა-იქ „ოპოზიციაში" ბუტ-ბუტი იმის შესახებ, რომ მენშევიკურმა პოლიტიკამ გათქვიფა მუშათა კლასიური ინტერესები (რომლის ჭეშმარიტი გამომხატველნი, უნდა ვთქვათ ჩვენ, ისინი არასოდეს არ ყოფილან) ზოგად-ეროვნულში. და ვინაიდან ეს არის ერთ-ერთ მტკივნეულ კითხვათაგანი მთელი თანამედროვე მენშევიზმის, თანამედროვე სოციალ-დემოკრატიის არა მარტო საქართველოში და ამ მტკივნეული ადგილის თითის მინანიებას უფრთხის და გაურბის ეს პარტია და მისი შინაური „ოპოზიცია", რამდენადაც ეს უკანასკნელი განაგრძობს ისევ და ისევ სოციალ დემოკრატიულ ტრადიციულ პროგრამის ნიადაგზე დგომას, ამიტომ ამ სადავო კითხვამ ჩაილულის წყალი დალია და ამნაირათ, მადლობა ღმერთს, საქმე მშვიდობიანათ დათავდა ეგრედ წოდებული „სხიველების" „ოპოზიციისა" და „პოზიციის" შორის. ამის შემდეგ მთელი „ბრძოლა" სწარმოებდა იმ კითხვის ირგვლივ თუ ვინ უკეთესათ გაატარებდა საქართველოში მენშევიკურ პოლიტიკას: „ერთობელები" თუ „სხიველები" და ამნაირათ მთელი ეს ოპოზიციონერობით თამაში გადაიქცა უბრალო ლაბუცობათ, რამდენადაც ამ „ოპოზიციას" საზოგადოთ რაიმე პოლიტიკური ხასიათი ჰქონდა და შიგ არ იყო ჩარეული კითხვა მაღალი „პოსტების" და „პორტფელების" შესახებ. ასე დათავდა „სხიველების" „ოპოზიცია და დაგვრჩა ხელში იგივე „ერთობელები", რამოდენიმეთ დაშინებულნი თავის სამწყსოს ზოგიერთ უკმაყოფილო წრეების გამოსვლით.

მენშევიკური მთავრობის დამარცხებისა და გაქცევის შემდეგ „სხიველებმა" ჰპოვეს თავის-თავში საკმაო გაბედულობა და მოგვევლინენ საკუთარი ტრიბუნით. ეს მოიმოქმედა იმ ხალხმა, რომელიც ერთობელებთან ერთად საერთოდ ნაციონალურ ბლოკში ჩარაზმული ხელს უწყობდა თავის მცირე ძალების ფარგლებში კომუნისტების დევნას, მხურვალე მონაწილეობას იღებდა ჩვენ წინააღმდეგ მიმართულ პირაშვებულ დემაგოგიაში, საბჭოთა რეჟიმის დამცირებაში და რუსეთის რევოლიუციის სახელის გატეხაში. დღეს საქართველოში სხვა და სხვა ცნობილ გარემოების გამო „ერთობა" ველარ გამოდის საკუთარი ფირმით, მაგიერათ მის ალაგს იჭერს „ახალი სხივი", შეიძლება უფრო უნიჭოთ, უფრო მოუხერხებლათ, ტლანქათ და პირველ ორ ნომერში და განსაკუთრებით უკანასკნელში არც ისე ძალიან მორცხვათ, როგორც ეს მოსალოდნელი იყო. დროისა და გარემოების მიხედვით მას, რასაკვირველია, არ შეუძლია არ აღნიშნოს გაკვრით, რომ ყოფილ მთავრობის ნაბიჯებში ეს თუ ის მისთვის დასაწუნარი იყო. მაგიერათ მთელი უკანასკნელი ნომერი ამ გაზეთის არის აპოლოგია ყოფილ მენშევიკური მთავრობის განსაკუთრებით საგარეო პოლიტიკის. როგორც ამ საგარეო, ისე შინაური პოლიტიკის კითხვებზე ჩვენ ვერ წავიკითხავდით თავის საკუთარ ფირმის ქვეშ გამოსულ „ერთობაში" იმაზე მეტს, რასაც აწვდიან მკითხველებს დღეს „ახალი სხივი"-დან „ერთობელები". იქ უხვათ მოიპოვება იგივე ბრალდება ჩვენი რუსიფიკატორობაში, „ტერიტორიის გაცემაში", ცდა გაქცეული მთავრობის ჭეშმარიტი ზრახვების დამალვის, მათი მიფუჩეჩების, ამ მხრივ საჭირო საზოგადოებრივი სიფხიზლის მიძინების, როგორც მეთაურში ისე ფელეტონში, ისევე პროვოკატორულ „შეკითხვებში" და საზოგადოთ მთელ ნომერში პირველი პწკარიდან უკანასკნელამდი. ჩვენ ვიცით რომ კრიტიკა რევოლიუციონური მთავრობის, მისი შესაძლებელი შეცდომების მომავალში საჭირო იქნება თუ ასეთ შეცდომებს ექნება ადგილი მის მოღვაწეობის დროს შექმნილ რთულ პირობებში. ჩვენი ამხანაგების პრესა რუსეთში, ჩვენი პარტიის ხელ-მძღვანელი და პასუხისმგებელ პირების გამოსვლა ამას ამტკიცებს. მარა ერთია კრიტიკა და მოღვაწეობა ერთობელების, წარმოებული ახალი წესწყობილების და სარღვევათ მის დასაღუპავათ და მეორე ამ რეჟიმის გასამაგრებლათ, მის განსამტკიცებლათ. ჩვენ ვერ დაუშვებთ, რომ დამარცხებულებმა ერთ ალაგას ერთობელებმა თავი ამოჰყონ მეორე ალაგას და „ახალი სხივის" ნიღაბ ქვეშ აკეთონ მათ ის საქმე, რომლის მუშაობაზე ერთხელ უკვე კისერი მოიმტვრიეს.

ნ. კრიდო.

## პრესის მაგიერ

„ახალი სხივის" ერთობელები ეხებიან საქართველოში დარჩენილ თავის ხელმძღვანელ ამხანაგების მიერ 10 აპრილის თათბირზე გამოტანილ რეზოლიუციას და, რასაკვირველია, იცავენ მას. მათი აზრით, მენშევიკების ლეგალური მუშაობა, მიუხედავათ გაქცეულების სრულიად არა ურთაზროვნო განზრახვებისა საბჭოთა საქართველოს წინააღმდეგ, გამოსადეგია და სასარგებლო „რადგანაც—ამბობს გაზეთი—ისინი იცნობენ ადგილობრივ პირობებს, ჩვენ ავს, ჩვენ კარგს"-ო...

რასაკვირველია, მენშევიკები იცნობენ „ჩვენ ავს" და „ჩვენ კარგსაც" და ამ ცოდნას ისინი გამოიყენებენ გარკვეული მიზნისთვის. ეს მიზანია—ვთქვათ მოკლეთ—საბჭოთა საქართველოს დასამარება. ჩვენ კარგად გვესმის, რომ ამ მიზანს, მენშევიკების ასეთ განზრახვებს, ხელს აფარებს „ახალი სხივი". ეს სრულიად ბუნებრივია, მარა არა ნაკლებ ბუნებრივია ისიც, რომ რევოლიუციონური მთავრობა, რომელიც სდგას ახალი რეჟიმის სადარაჯოზე, თავის ზომებს ხმარობს, რათა ეს შავი ზრახვები და მათი განხორციელების ცდა სათავეშივე ჩაჰკლას. „ახალი სხივის" აზრით თუ რამიშვილ-ჯუღელის კამპანია ცდილობს ევროპის იმპერიალისტების საქართველოს საქმეებში ინტერვენციას, იგივე არ შეიძლება ითქვას აქაურ მენშევიკების შესახებ, რადგან ამ ინტერვენციის შესახებ რეზოლიუცია არას ამბობს. ოღონდაც. რეზოლიუციაში მართლა არ არის ნათქვამი, რომ ისინი მოიყვანენ საქართველოში იმპერიალისტების თეთრგვარდიელებს საბჭოთა მთავრობის ჩამოსაგდებათ და ამ გზით მენშევიკურ მთავრობის დასაბრუნებლათ. ეს რომ მათ ეთქვათ საქართველოში დღეს, დღევანდელ პირობებში, ისინი იქნებოდნენ გიჟები. სად მომხდარა, რომ რომელიმე პარტია გამოსულიყო და განეცხადებია რომელიმე მთავრობისთვის მოგვეცი ლეგალური მოღვაწეობის საშუალება, საშუალება პარტიული აპარატის აღდგენის და გამაგრების, ლიტერატურის, გაზეთების გამოცემის, რადგან მე ძალიან მსურს ერთ მშვენიერ დღეს აჯანყება მოგიწყო და გაგანადგურო. ეს ჯერ არ ყოფილა და არც იქნება. საქმე სიტყვებში და რეზოლიუციებში არ არის ხშირათ. ამა თუ იმ პარტიის პოლიტიკური ხაზის გასაგებათ საჭიროა აილო არა ის მარტო, რასაც ის ამბობს ან სწერს, არამედ მთელი მისი წარსული მოღვაწეობა, მიზნები, რომელსაც იყენებს ის, როგორც წარმომადგენელი გარკვეული კლასის, ან წრეების და გზა, რომლითაც მას უვლია ან უნდა იაროს თავის მიზნების მისაღწევათ. რა გამოიცვალა ამ მხრივ მენშევიკურ პარტიაში? არაფერი. საქმე მხოლოდ იმაშია, რომ მათი ნების ყოფის წინააღმდეგ გამოცვლილია წრე და გარემოება, რომლებშიაც მათ უხდებათ თავის ძველი მიზნებისათვის ბრძოლა. ხოლო ეს მიზნები სრულიადაც არ შეიცავენ რევოლიუციისადმი მეგობრულ დამოკიდებულებას, საბჭოთა რეჟიმისადმი „სათუთ" მოპყრობას. ამაზე გარკვეულათ ლაპარაკობენ გაქცეულები, ამაზევე არც გარკვეულათ ვერ იტყვიან დარჩენილები. ეს ცხადია ყველასათვის, ცხადია თვით „ახალი სხივისთვის" და, რამდენათ ის სცდილობს დააბნელოს ეს ნათელი აზრი, არ გადაუშალოს ის ქართველ საზოგადოებას, ჩვენ მუშათა კლასს, იმდენათ ეს გაზეთი ემსახურება კონტრ-რევოლიუციას, რომლის მზადებაში არიან როგორც გაქცეული ისე დარჩენილი ერთობელები, და მათ რიცხვში „ახალ სხივში" მოკალათებულებიც.

## რუსეთის კომუნისტური პარტიის მე-10 ყრილობა

**ამხ. საფაროვის თანამოხსენება ეროვნული საკითხის შესახებ.**

**საფაროვი.** თურქესტანის დელეგაციამ, რომლის სახელითაც მე აქ გამოვდივარ, წარმოადგინა ამხ. სტალინის თეზისებისათვის მთელი რიგი შესწორება-დამატებისა; ამ თავითვე უნდა განვაცხადოთ, რომ ჩვენს წინაშე დასმულ საკითხის საფუძვლად ჩვენ სავსებით ვიღებთ ამხ. სტალინის თეზისებს; ხოლო ჩვენ მიერ წარმოდგენილ შესწორებათა მიზანია შევსება და კონკრეტიზაცია იმ მრავალ დებულებათა, რომელიც სათანადო სისრულით არ არის განვითარებული ამხ. სტალინის თეზისებში.

ვიდრე აღნიშნულ შესწორებათა დასაბუთებას შევუდგებოდე, ჩვენ უნდა შევჩერდეთ ეროვნული საკითხის ზოგიერთ მომენტებზე, რომელიც აქ, მე-X პარტიულმა ყრილობამ უნდა გაითვალისწინოს და შეისწავლოს. ამ დიდი საკითხისათვის, ეხლა, მეათე ყრილობაზე ჩვენ ხელთა გვაქვს პრაქტიკული აღმშენებლობისა და კლასთა ბრძოლის გამოცდილება, რაიც დღემდის არა გვქონია.

ყოფილ რუსეთის იმპერიის მთელი ისტორია, რომელსაც ენგელსი სხვისგან მოტაცებულ უზარმაზარ საკუთრებად სთვლიდა,—არის კოლონიზაციის ისტორია. მე მხედველობაში მყავს ერები, რომელნიც ყოფილ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მიათრევდენ კოლონიალურ ან ნახევრად კოლონიალურ არსებობის უღელს, და მინდა ვსთქვა, რომ თებერვლის გარიჟრაჟზე ამ დაჩაგრულ ერთა, და განსაკუთრებით აღმოსავლეთის ხალხთა მშრომელი მასსების, ცხოვრება არ ატარებდა კლასიური ორგანიზაციის მცირე ნიშანსაც. და აი, როცა იფეთქა რევოლიუციამ და დაინგრა რუსეთის თვითმპყრობელობის წმინდა სასახლე, განაპირა ქვეყნების მშრომელმა მასებმა და დაჩაგრულ ერთა მასებმა სრულიად ბუნებრივად წარმოიდგინეს მოთხოვნილება ეროვნული განთავისუფლებისა.

რუსეთის თვითმპყრობელობა, რუსეთის იმპერიალიზმი, რუსეთის ბურჟუაზია განაპირა კუთხეებში ქალაქებს ეყრდნობოდა, როგორც თავის კლასიურსა და სტრატეგიულ პუნქტებს. ქალაქებში რევოლიუციის მსვლელობა თებერვლიდან ოქტომბრამდე იყო, რასაკვირველია, ბევრათ უფრო მოკლე, ვიდრე ის გზა, რომელიც შემდეგ გაიარა დაჩაგრულ ერთა მშრომელმა მასებმა. ოქტომბრის რევოლიუცია ამ ხალხს, როგორც ციდან ჩამოვარდნილი, ანაზდეულად დაატყდა თავს. წარმოიდგინეთ ერთი მხრით რუსეთის ქალაქი, სადაც პროლეტარიატმა საკმარისად მოახერხა საკუთარი ძალების კონცენტრაცია და მეორეს მხრით, სოფელი, ჩამორჩენილი განაპირა სოფელი და თქვენთვის აშკარა იქნება, რომ მათ შორის არსებულ ნაციონალურ წინააღმდეგობას უნდა გამოეღო ცხარე ნაყოფი, მწვავე კონფლიქტების სახით. 1916 წლიდან სემირეჩიეში სოფლელ ყირგიზთა 35 პროცენ. დაიხოცა; იმავე ყირგიზებს ოთხფეხი საქონლის 70% დაუწყდა, ხოლო ორივე მაგალითი ნათელი მჭერმეტყველობით აღნიშნავს იმ აუტანელ პირობებს, რომლებშიაც მოექცა ეს დაჩაგრული, დამონებული და კლასიური თვითგამორკვევის ნიშანწყალს მოკლებული სოფელი. რუსეთის პროლეტარი ვერ დაუცდიდა ადგილობრივ მშრომელთა მასებიდან კლასიურ ელემენტების გამოყოფისა და დარაზმვის პროცესს, აქ იყო თავიდან აუცდენელ კონფლიქტების წყარო. ურალის პროლეტარი, ურიად რევოლიუციონურად განწყობილი შეხვდა ბაშკირიის ულარიბეს მიწის მუშას, რომელსაც წინ მოუძღოდა მისი მყვლეფელი ექსპლოატატორი, ან კიდევ რუსეთის ბურჟუაზიისა და მემამულეთა ყველაზე მახინჯი ვიგინდარები. ასეთივე მდგომარეობა იყო თურქესტანში და ყირგიზტანში.

რევოლიუციის პირველ ხანაში, მიუხედავათ იმისა, რომ ცენტრალ საბჭოთა ხელისუფლებამ აღიარა ყველა ერთა უფლება სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობისა, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის ხალხთა უფლებების დეკრეტი ჯერ კიდევ 1917 წ. ნოემბრის 2 გამოცხადდა, მიუხედავათ ყველა ამისა, რევოლიუციის პირველ ხანაში თანდათანობით ძლიერდება ცეცხლი ნაციონალურ კონფლიქტებისა, და ცენტრს მოკლე ხანში ჩამოშორდა დაჩაგრულ ერთა მშრომელი მასების მეტად მნიშვნელოვანი რაოდენობა; ჩვენ ვხედავთ რომ, ყირგისტანში ჩნდება ალაშ ორდა, კოკანდის ავტონომია და სხვ. ჩვენ ვხედავთ, რომ თურქესტანში ზაკასპის ინგლის-თეთრ გვარდიელთა მთავრობას მხარს უჭერს ტურკმენები. ასეთივე მდგომარეობა იყო კავკასიაში და სხვა განაპირა ქვეყნებში. ყველაფერი ზემოხსენებული აუცილებელი შედეგი იყო იმისა, რომ მკვდარი ცოცხალს მოეკიდა, რომ რუსეთის ისტორია წარსულში იყო კოლონიზაციის ისტორია. აქვე უნდა ითქვას გარკვევით, რომ მოწინავე პროლეტარულ ელემენტს, განსაკუთრებით განაპირა კუთხეებში, გაუძნელდა იმ აზრის შეთვისება, რომ მას საქმე აქვს ადგილობრივ მშრომელთა მასასთან, რომელიც შეუძლია შეეგებოს საბჭოთა ხელისუფლებას მაგრამ არა მაშინ, როდესაც მას უფროსად, ბატონად, მბრძანებელად გამოეცხადები, არამედ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მასთან ამხანაგური ხელით მიხვალ და საერთო ბრძოლისათვის მოუწოდებ.

მაშინ როდესაც ცენტრალ რუსეთში ქალაქსა და სოფლის შორის არ იყო არავითარი ნაციონალური წინააღმდეგობა, განაპირა ქვეყნებში იგი ფართო მაშტაბით არსებობდა: აქ ქალაქი პოლიციის ველების ბუდე იყო და ადგილობრივმა მცხოვრებმა დედის რძესთან ერთად შეითვისა და შეისისხლხორცა უნდობლობა რუსეთის ქალაქისადმი. ყირგიზს მრავალი ანდაზა აქვს, რომელსაც იგი დღესაც ხშირად იმეორებს. ყირგიზი ამბობს: „რუსს ოღონდ ფული მიეცი და თუ გინდ მამა მოუკალი", ან კიდევ „თუ მეგობარი რუსი გყავს, ქვა უბეში იგულე". ძველი რეჟიმის დროს ყირგიზისათვის რუსი არის—ურიადნიკი, პოლიციელი, ტლანქი მოძალადე, მძარცველი და სხ. ასეთ პირობებში აშკარაა, რომ განაპირა ქვეყნების მშრომელი მა-

# დღეს ნომერში:

**გერმანიაში იფეთქა რევოლიუციამ. რამოდენიმე მნიშვნელოვანი ქალაქი და რკინის გზის რაიონი ხელში ჩაიგდეს კომუნისტების მეთაურობით აჯანყებულმა მუშებმა. ლაიპციგსა და სხვაგანაც სასტიკი ბრძოლები სწარმოებს.**

**15 მაისისთვის მოსკოვში მოწვეული იქნება: პროფ. კავშირების და სახალხო მეურნეობის საბჭოთა ყრილობა.**

სების საბჭოთა სისტემასთან შერიგება—დაკავშირებისათვის საჭიროა ამ ხალხთან მიმავალი ძველი გზების შეცვლა.

თურქესტანში პარტია, ამხანაგებო, გაჩნდა მაშინ, როცა რუსეთის კომუნისტურმა პარტიამ ხელში აიღო მმართველობის სადავე; ამის გამო, თქვენ ადვილად გაიგებთ, პარტიაში შეიჭრა ბევრი მტერი და არა სასურველი ელემენტი.

ვინ შეიჭრა ჩვენს პარტიაში? ამის საპასუხოდ უნდა მოგახსენოთ შემდეგი: გასულ ზაფხულს თურქესტანის ერთ-ერთ ქალაქში (პიშპეკში) წავიკითხე შემდეგი განცხადება: „ვინაიდან დღეს ღვდელმსახურებას აასრულებს კომუნისტი-მოძღვარი, კომუნისტური პარტიის წევრნი მოწვეულნი არიან ეკლესიაში“. ეს იყო 1920 წ. ივნისში. აქედან სჩანს რა ელემენტი შეიჭრა პარტიაში: პარტიაში შეძვრა ძველი რუსი-მოხელე.

ამ გვარად, ჩვენი პარტია თურქესტანში არ გამოდგა სავსებით გაწმენდილი და საღი, ვინაიდან პირველ ხანებში ჩვენ ვერ მოვახერხეთ ადგილობრივი პროლეტარული და ნახევრად პროლეტარული ელემენტების პარტიაში ჩაბმა. ასეთი ელემენტები კი ადგილობრივად უსათუოდ არის; ეს ელემენტი პატიოსნად და თავგანწირვით იბრძოლებს ჩვენი დროშის ქვეშ, თუ ჩვენ შევსძლებით მისი გულის მოგება და ჩვენს მუშაობაში ჩარევა. დღეს კი ჩვენ გვერდით ჩვენ საქმეზე, აღმოჩნდა კომუნისტი-ღვდელი, რუსი-პოლიციელი და სემირეჩიელი გასუქებული „კულაკი“ რომელიც ჯერ კიდევ განაგრძობს ულლის ქვეშ იყოლიოს ათეული უმიწაწყლო ბოგანო გლეხი და გულმოდგინეთ ინადიროს ყირგიზებზე, როგორც გარეულ ცხოველზე.

რუსეთის ეს თვითმპყრობელი „კულაკი“ ბედის ტრიალით გამოვიდა განაპირა ქვეყნებში პროლეტარიატის დიქტატურის მატარებლად და კონტრ-რევოლიუციის ბანაკში გადისროლა მშრომელი მასა. ეს იყო გარდუვალი შედეგი ჩვენი საკუთარი სისუსტისა. იყვნენ, მართალია, პატიოსანი კომუნისტებიც, მაგრამ ესენი სავსებით დაიმონა ჩვენდამი მტრულად განწყობილ იდეოლოგიის თავისუფლად თარეშმა. განაპირა კუთხეებში მრავალი რუსი კომუნისტი გეტყვით თქვენ რომ იგი მომხრეა პროლეტარიატის დიქტატურისა, მაგრამ რადგან ყირგიზებსა და უზბეკებს შორის არ არის ქარხანა-ფაბრიკის პროლეტარიატი, რადგან არ არის ქარხანის ქვაბში, გამომწვარი და გაკაჟებული ხალხი, ბუნებრივად, პროლეტარიატის დიქტატურის ყველა ორგანოს ეპატრონება მხოლოდ რუსები.

ჩამორჩენილ ქვეყნებში პროლეტარიატის რაოდენობაზე ლაპარაკი, რასაკვირველია, ზედმეტია, თითზე ჩამოსათვლელად არ გვყოფა, და ამ გვარად, ორ, სამ პროლეტარს უკან გაჰყვა ხალხის სისხლის მსმელი ვაჭარ-მემამულეთა ჯარი. დღემდე, პროლეტარობა განაპირა ქვეყნებში, რუსების პრივილეგიას შეადგენდა. ხელისუფლება ადგილებზე სრულიად უვარგისი და აუტანელი იყო, რადგან იგი გაიზიარა კანშეცვლილმა გველებმა. საკმარისია ერთი მაგალითის, ფრიად თვალსაჩინო მაგალითის დასახელება: სრულიად თურქესტანის ცენტრალ აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგად გახლდათ ბ-ნი უსპენსკი, ძველი წევრი და თავმჯდომარე მიხეილ მთავარ, ანგელოსის კავშირისა, შემდეგ გაკადეტებული, შემდეგ მემამრჯვენე ესერი, მერე კიდევ მემარცხენე და დასასრულ, მემარცხენე სოც.-რევოლიუციონერთა მთელ მასასთან ერთად, ავტომატიურად რუსეთის კომუნისტურ პარტიაში გადასული. აი, ის მდგომარეობა, ამხანაგებო, რომლის ლიკვიდაცია ჯერ კიდევ არ მომხდარა, ეს გახლავთ მემკვიდრეობა იმპერიალისტურ კოლონიალურ ურთიერთობისა.

სემირეჩიის ოლქის სტატისტიკური ცნობის მიხედვით, რევოლიუციის ხანაში, რუსობის მსხვილი მიწათ მფლობელობა გაიზარდა 35%-დან 70%-დე. აქ, ამხანაგებო, სრულიად გარკვევით და გადაჭრით უნდა ითქვას, რომ ვიდრე განაპირა ქვეყნების მჭიდრო მცხოვრებთა მშრომელ ხალხს, რომელიც დღეს პირდაპირ ფიზიკურ განადგურების პროცესშია, არ აღუდგენია თავისი უფლება მიწაზე, მანამდე საბჭოთა ხელისუფლებას არ შეუძლია ილაპარაკოს თავის ნაციონალურ პოლიტიკაზე განაპირა ქვეყნებში. განსაკუთრებით ეს შეეხება ყირგიზებსა, ბაშკირებსა და მთელ რიგ მთიელთა ხალხს კავკასიაში, სადაც ძველად მეფის მთავრობა მიწის საუკეთესო ნაკვეთებს აძლევდა რუს-მცხოვრებთა წარჩინებულ ნაწილს. რაოდენობა ამ წარჩინებულ პარაზიტებისა განიზომება, ამხანაგებო, ასიათასობით. და ასიათასობით განაპირა კუთხეში გაბატონებული მსხვილი მიწის მფლობელი „კულაკი“ რომელიც ქმნიდა იმპერიალიზმის ცოცხალ ძალას, ცოცხლობდა და სცოცხლობს თავისი, სარგებლობს მთელ რიგ პრივილეგიებით თავ[illegible]

ნობის უზარმაზარი მიწების დაპყრობის გამო.

ამ ჟამად, ამხანაგებო, თურქესტანში ჩვენ ვახორციელებთ მიწის რეფორმას, ამ რეფორმის ძალით ზემოაღნიშნულ „კულაკებს“ დაუყოვნებლივ უნდა ჩამოერთვას ყველა მიწები 1916 წლიდან თვითნებით, ან რომელიმე ორგანოს—თუ გინდ საბჭოთა ხელისუფლების ორგანოს საშუალებით შეძენილი და უნდა გადაეცეს ყირგიზებისა ან სხვა მკვიდრ მცხოვრებთა სარგებლობაში. ჩვენ არ ვზოგავთ არავითარ საშუალებას, ზოგიერთ შემთხვევაში ჩვენ უარს არ ვამბობთ „კულაკების“ მთელი მოსახლეობა ავყაროთ და გადავასახლოთ. რამდენადაც თქვენ გსურთ დასვათ საკითხი საერთოდ ნამდვილ კლასთა ბრძოლის ნიადაგზე, ინტერნაციონალურ ნიადაგზე, იმდენად შეუძლებელია ამ საკითხის სხვა სახით გადაჭრა. აი მაგალითად, როგორ მოქმედობდა და მოქმედობს რუსის „კულაკი“: ყირგიზები ერთი ადგილიდან გადადიან ზამთარში და ზაფხულში, საკმარისია ვინმე რუსმა ვიგინდარა თავხედმა, სადმე მიწის ნაჭერზე ერთი საფუტკრე დადგას, რომ აქ ყირგიზი ვეღარ გაივლის თუ ასი და ორასი მან. ბაჟი არ გადაიხადა. ასეთი მდგომარეობა უკანასკნელ ხანებამდი გრძელდებოდა.

(დასასრული ხვალ)

## საბჭოთა საქართველო

**ევროპასა და საქართველოს შორის საქონლის გაცვლა**

იტალიის მსხვილ ფირმის „ტ. ი. ვალაცი“-ს რწმუნებული ამხ. ღარიბოვი გვატყობინებს, რომ მისი მარწმუნებელი, რომელიც გავიდა ბათომიდან სხვა უცხოელებთან ერთად, მიღებულ რადიოს თანახმად 13 აპრილს გამოვიდა კონსტანტინეპოლიდან იტალიის სანაოსნო საზღვაო სამსახურის საზოგადოების გემზე „ვენეცია“-ზე და ამ დღეებში იქნება ბათომში საქონლით, რომელიც დანიშნულია საბჭოთა საქართველოსთვის.

ამასთან ერთად ამხანაგი ღარიბოვი გვატყობინებს შემდეგს: იტალიის ყველა სანაოსნო საზოგადოებანი გაერთიანდნენ შრომის სამინისტროს უწყებაში. ყველა ამ გაერთიანებულ საზოგადოებათა მთავარ აგენტათ შავი ზღვის ნაპირად დაინიშნა ტ. ი. ვალაცი.

ამხანაგი ღარიბოვი ამ ჟამათ ვალაცის ფირმის მინდობილობით აწარმოებს მოლაპარაკებას საქართველოს და რუსეთის გარეშე ვაჭრობის კომისარიატთან მუდმივ ნაოსნობის განახლების შესახებ, შავი ზღვის ჩრდილოეთ და სამხრეთ ნავთსადგურებსა და ევროპა-ამერიკის ნავთსადგურებს შორის, მუდმივი რეისების დაწესების გარდა ვალაცი წინადადებას აძლევს საბჭოთა საქართველოს და რ. ს. ფ. ს. რ. საფოსტო მიმოსვლის მოწყობის შესახებ ვალაცი წინადადებას იძლევა დაიწყოს სავაჭრო ურთიერთობა, როგორც საბჭოთა საქართველოსთან, აგრეთვე საბჭოთა რუსეთთან დიდი მასშტაბით და ამ რესპუბლიკებისთვის საჭირო ყოველგვარ საქონელს გადასცვლის შავ ქვასა, ნავთსა, მაზუთსა, ზეთსა, ხიზილალასა, თხილსა, ბამბასა, მატყლსა და პიროქსიტზე და სხვა

თელავი. 22-4. (დეპეშა) 11 აპრილს თელავში დაარსდა პირველ მაისის დღესასწაულის მომწყობი კომისია, რომლის შემადგენლობაშიაც შევიდნენ პარტიულ კომიტეტის, გრუსტა, ახალგაზრდა კომუნისტთა კავშირის და რევკომის წარმომადგენელნი. გახურებული მზადებაა დღესასწაულისათვის. დღესასწაულის დღისათვის უნდა მოაწყონ სოფელში მუშათა სახლების გახსნა. განზრახულია აგრეთვე სამკითხველოების გახსნა. ქალაქში მოაწყობენ ხეების დარგვას, დასაზავშო თამაშობებს, კონცერტ-მიტინგებს, სინათლის გაზეთს, კინო სეანსებს და წარმოდგენებს. მიტინგები გაიმართება ყველა სოფლებში, ბავშვებს დაურიგებენ საჩუქრებს. შეუდგნენ პირველ მაისის გაზეთის ბეჭვდას ქართულ და რუსულ ენაზე. დიდი ყურადღებაა მიქცეული სოფლებზე.

**პირველი მაისობა მანგლისში.**

მანგლისი. 19 აპრილი. (დეპეშა) შესდგა კომისია კომუნისტურ პარტიის გრუპკავრონტას და ახალგაზრდა კომუნისტების კავშირის წარმომადგენლებთაგან პირველ მაისობის მოსაწყობათ. კომისია უკვე შეუდგა მუშაობას, გამოიმუშავა მანგლისში და მის რაიონში პირველ მაისის დღესასწაულის საერთო წეს-რიგი. გადაწყვეტილია გამოუშვან პირველ მაისს სპეციალური კედლის გაზეთი, გამართონ სახალხო კლუბში კონცერტი და მიტინგი, პატარა მოედანზე განზრახულია მოეწყოს შეჯირითნეთა ტანთვარჯიშობა მუსიკით, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ ადგილობრივი გიმნაზიის მოსწავლენი. მთელი ტეხნიკური მხარე დავალებული აქვს გრუპკავრონტას მანგლისის განყოფილებას.

**სურსათის დამზადება.**

ბათუმის საოლქო. სასურსათო კომიტეტი კოოპერატივებთან ერთად ოლქის ყველა რაიონებში, ადგილობრივ რევკომების ნებართვით, შეუდგა სურსათის დამზადებას. ბათომის ოლქისა და ქუთაისის სხვადასხვა კუთხეებში გაიგზავნა 4 შემსყიდველი კომისია. კომისიებს სხვადასხვა დროს სურსათის შესასყიდათ მიეცა 160 ათასი მანეთი.

**ბათომი.**

**პირველი მაისის დღესასწაული.**

კომპარტიის საოლქო კომიტეტი გაძლიერებულად მუშაობს პირველ მაისის დღესასწაულის მოსაწყობად.

**რეგისტრაცია.**

საბჭოთა სახალხო მეურნეობამ ბათომის ოლქში გამოაცხადა რეგისტრაცია ფურნეების, თორნების, საკანდიტეროების, ყველის ქარხნების, მერძეობის ფერმების, საჩაიების, ლუდხანების და ლიმონადის ქარხნებისა.

**სიტყვიერი სასამართლო.**

იუსტიციის განყოფილებას, მომავალში მეჯლისის არჩევნების გამო, განზრახული აქვს სამუსლიმანო საქართველოში სიტყვიერი სასამართლოების მოწყობა. სასამართლო მოეწყობა ყოველ უბანში სასოფლო ოლქების რიცხვის მიხედვით.

**საქ. კომ. პარ. გურიის სამაზრო კომიტ. საგანგებო სხდომა**

მიესალმება კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს და უსურვებს მას ენერგიულ მუშაობას მშრომელ ხალხის ინტერესებისთვის. სალამი საქართველოს კომპარტიის ბელადს, პროლეტარიატის ინტერესების მედგარ დამცველს, ამხანაგ ფილიპე მახარაძეს, სალამი უხუცეს მასწავლებელს მიხა ცხაკაიას.

გაუმარჯოს თავისუფალ საბჭოთა სოციალისტურ საქართველოს. გაუმარჯოს მის მოკავშირეს ბრძოლის ცეცხლში გამობრძმედილ საბჭოთა რუსეთს.

გურიის სამაზრო კომიტეტი.

**უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომების რეგისტრაცია.**

ხელ ახლათ გამოცხადებულია უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომების რეგისტრაცია, შემუშავებულია საგანგებო საანკეტო ფურცლები.

**საქონლის აღრიცხვა.**

ბათომსა და ფოთში არსებული საქონლის აღრიცხვა შესყიდვის საგანგებო კომისია გაუქმებულია. საქონელი საქართველოს რევკომის განკარგულებაშია. დაარსებულია ახალი შემსყიდავი კომისია, ბათომის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტთან.

**შაბათობა.**

წითელ ლაშქრელების მიერ ნავთსადგურის ტერიტორიაზე მოწყობილმა შაბათობამ ძლიერ ნაყოფიერათ ჩაიარა, ამ შაბათობით გაკეთდა მილიონ მანეთის ეკონომია.

**ბერძენი ლტოლვილები.**

ბათომში მოვიდნენ 2000 ლტოლვილ ბერძენთა დელეგატები, რომელნიც იმყოფებიან თბილისის გუბერნიის ნეიტრალურ ზონაში. ლტოლვილები თავის დელეგატთა პირით თხოულობენ დახმარებას ელლინთა ეროვნულ საბჭოსაგან.

**მესაქონლეობა**

ბათომის ოლქში მესაქონლეობის შემცირებისა და სრულიად დაცემის თავიდან ასაცილებლად განზრახულია სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლების დაარსება და მასთან მერძეობის ფერმების მოწყობა, აგრეთვე ადგილობრივ ჯავასთან შემფარდებელი სადგურების, სააავთმყოფოების, სამაკებელ პუნქტების და საქონლის სნეულებათა წინააღმდეგ შრატის და ასაცრელ ვაქსინის დამამზადებელ დაწესებულებათა მოწყობა.

**შრომის ნაყოფის გაძლიერება.**

ფოთი. 20 აპრ. (ტელეგრამ.). ფოთის ნავთსადგურის სამმართველოს მუშათა, მეზღვაურთა და მოსამსახურეთა საერთო კრებაზე მიღებულ იქმნა შემდეგი რეზოლიუცია: საჭიროა მოვიკრიფოთ მთელი ძალღონე შრომის ნაყოფიერების გასაძლიერებლათ. შემდეგ მუშები მიესალმებიან საქართველოს რევკომს და აღთქმას სდებენ, რომ მთელის თავისი ძალღონით მხარს დაუჭერენ მის პოლიტიკას.

ეკატერინოვკა. 21 აპრილი (დეპეშა). 17 აპრილს ვორონცოვკაში შესდგა ვორონცოვკის რაიონის რევკომების ყრილობა. დაადგინეს მოაწყონ სათესი კომიტეტები, რომელნიც მოვალე და პასუხისმგებელი იქნებიან ყანების ერთი კვირაში დათესვის საქმეში.

## საბჭოთა რუსეთში

**პროფკავშირების ყრილობა**

მოსკოვი. 21 აპრილი (რადიო) პროფ. კავშირების სრ. რუს. ცენტრ. საბჭომ დაადგინა: 15 მაისისთვის მოიწვიოს ყრილობა. ყრილობის საგანია: 1) პროფ კავშირების სრ. რუს. საბჭოს ხარჯთ-აღრიცხვა. 2) სრ. რუს. სასოფლო მეურნეობის საბჭოს ხარჯთ-აღრიცხვა, 3) კავშირების როლი და დანიშნულება, 4) სამეურნეო აღმშენებლობა და პროფ კავშირები, 5) საორგანიზაციო საკითხები, 6) სატარიფო პოლიტიკა და მომარაგება, 7) პროფკავ. და კოოპერაცია 8) რუსეთის პროფკავშირ. დანიშნულებანი მომავალ საერთაშორისო კონფერენციაზე, 9) შრომის დაცვა, 10) კავშირების კულტურულ-განმანათლებელი მოღვაწეობა, 11) პრ. კავ. სრ. რ. ც. საბჭოს არჩევნები. საარჩევნო წესი და წარმომადგენლობამ ე. ი. 3-დან 5 ათასამდის—1, ყოველ 5—ათას კაცზე მეტი—1 დელეგატს ირჩევს. საგუბერნიო პროფკავშირები გზავნიან ერთს დელეგატს გადამწყვეტი ხმით.

არჩევნები უნდა მოხდეს საგუბერნიო კონფერენციაზე, საწარმოო კავშირებში, დელეგატთა კრებაზე და სხ. დელეგატი მოვალეა წარმოადგინოს საგუბ. პროფკავშირების მოღვაწეობის საერთო ანგარიში 1921 წლის. ამას გარდა აზრათ აქვთ, რომ დელეგატმა წარმოადგინოს სტატისტიკური ანგარიში თებერვლის, მარტის და აპრილის თვეებისა. საერთო ანგარიშში უნდა შეტანილ იქნას საწარმოო პროპაგანდის საკითხი და უნდა სავსებით გაშუქებულ იქნეს ამ მუშაობის პერსპექტივების მდგომარეობა.

## საბჭოთა აზერბეიჯანში

**შრომის მობილიზაცია ბაქოში.**

აზერბეიჯანის რევკომმა გამოაქვეყნა დეკრეტი შრომის ბეგარის მოსახდენათ. მამაკაცებს გაიწვევენ 18 წლიდან 40 წლამდე, ამასთან შრომის ბეგარას იხდიან მხოლოდ ის მამაკაცნი, რომელნიც არ მუშაობენ საბჭოთა დაწესებულებებში და აგრეთვე არ ეწევიან სოფლის მეურნეობას.

**ა. ს. ს. რ. პროფკავშირების ყრილობა ბაქოში.**

ორი მაისისთვის მოწვეულია სრულიად აზერბეიჯანის პროფ. კავშირთა ყრილობა.

**მუშების კონფერენცია ბაქოში.**

კონფერენციის ყოველ მოქმედებაში გამოკრთის საქმიანობა. ჯგუფ-ჯგუფათ შეკრებილი მუშები ნაწყვეტ-ნაწყვეტათ საუბრობენ სასურსათო გადასახადის და კონცესიების შესახებ. „ჩვენის ძალღონით“ ჩვენ ვერ შევძლებთ მეურნეობის ამ მოკლე ხანში აღდგენას და გლეხკაცობის ყოველი საჭიროების დაკმაყოფილებას. ჩვენი ნავთიანი ადგილები წყლიანდება. საჭიროა 200 მდე საბურღვი დაზგა, სამრეწველოებში კი გვაქვს მხოლოთ 25. რა ვქნათ? და აი კომუნისტურმა პარტიამ გადასწყვიტა კაპიტალისტებს მისცეს კონცესიები.

**მომხმარებელ საზოგადოებათა წარმომადგენლების ყრილობა.**

ბაქო, 15 აპრილი. გაიხსნა მუშაგლეხთა მომხმარებელ საზოგადოებათა წარმომადგენლების პირველი ყრილობა. ყრილობა გახსნა აზერბაიჯანის რევკომის თავმჯდომარემ ამხ. ნარიმანოვმა, რომელმაც აღნიშნა კოოპერატიული მოძრაობის განსაკუთრებული მნიშვნელობა აღმოსავლეთის ხალხთათვის. სასურსათო სახალხო კომისარმა ამხ. მუსაბეკოვმა თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ აზერბაიჯანისთვის ისპობა სასურსათო გადასახადი, მომავალ წლიდან ისპობა აგრეთვე ნატურალური სასურსათო გადასახადიც. აზერბაიჯანის გლეხობას უფლება ეძლევა საკუთარი ზედმეტი სასოფლო ნაწარმოები მოიხმაროს თავის სურვილისამებრ. სახელმწიფოს, მუშათა და ულარიბეს მოსახლეობის, მოსამარაგებლით, თავის სასურსათო მარაგს შეჰკრებს მხოლოთ საქონლის გაცვლით, უმთავრესათ კოოპერატივების საშუალებით. სიტყვებს ამბობდნენ უმთავრესათ თურქულ ენაზე. ყრილობის მთელი შემადგენლობის 75 პროცენტს შეადგენდა მშრომელი თურქი მოსახლეობა.

## საზღვარ-გარეთ

**გერმანიის ამბები.**

მოსკოვი. 21 აპრილი. (რადიო). ბერლინიდან მიღებულ ცნობებით, მუშათა მეამბოხეების მოძრაობა გავრცელდა რეინ-ვესტფალიის სამრეწველო რაიონებზედაც. ბერლინის დილის გაზეთები გვატყობინებენ, რომ ქალაქი მეტმენი და ფელბერტი აღებულია მეამბოხეების მიერ. ესენში წარმოებს სერიოზული შეტაკება კომუნისტებსა და პოლიციელებს შორის. მრავალია დაჭრილი და დახოცილი. რკინის გზის ხაზი ერბელფელდ-კელნი და დიუსელდორფ[illegible] დაკავებულია მეამბოხეთა მიერ. მიმოსვლა შეწყვეტილია. გერმანიის მთავრობამ საგანგებო წესები გამოაცხადა მიულჰეიმ-პრენსბერგის ოლქში და დაუკავშირებელ დიუსელდორფის ოლქის ნაწილში. კომუნისტები მოუწოდებენ რურის ოლქის მუშებს გენერალურ გაფიცვისაკენ. ლეიპციგში სწარმოებს სისხლის მღვრელი შეტაკება მუშებსა და პოლიციელებს შორის.

**მოძრაობა იზრდება.**

ბერლინი (რიგა) რევოლიუციონური მოძრაობა ცენტრალურ გერმანიაში იზრდება. სწარმოებს სერიოზულ ბრძოლა, გრობერსის ახლო ჰალლელიპციგის ხაზზე. გრობერსის სადგური მეამბოხეთა ხელშია. ჰალლელიპციგის შორის მიმოსვლა შეწყვეტილია. ჰალლე ისევ უწყლოდ და უსინათლოთაა. ელექტრონის სადგურის მუშები გაიფიცნენ „ტელეგრაფი უნიონი“ გვაუწყებს, რომ კომუნისტების მიერ დაკავებულია ჰეტშტი და ლაიძრინ ფელდბერტისაკენ. ქალაქის აღების შემდეგ კომუნისტებმა დაიკავეს სახელმწიფო ბანკი და გაგზავნეს ხალხი სურსათის დ[illegible] მოსამზადებლათ.

**[illegible] ვიცვა ლეიპციგში.**

რიგა. ქალაქ ლეიპციგის და საქსონიის სამრეწველო ქალაქების კომუნისტებმა გამოაცხადეს საყოველთაო გაფიცვა. რეიხსვერმა გადაწყვიტა, იმოქმედონ მეამბოხეთა წინააღმდეგ იარაღით. პრუსიის საქსონიაში კომუნისტებმა ააფეთქეს ამმენდორფ გრუტნიხის სარკინიგზო [illegible] ხო ქვეყნის მოქალაქენი მასსიურად იგზავნებიან. ჰალლეში [illegible] საგანგებო წესები. განსფელდის სამთო ოლქში რეპრესიების მიუხედავათ კომუნისტების აგიტაცია ძლიერდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

**შრომის სახალხო კომისარიატის სავალდებულო დადგენილება.**

ქალაქ თბილისში სავაჭრო დაწესებულებებში სამუშაო დღის ნორმის შესახებ.

1) საწყობებსა, მაღაზიებსა და სხვა სავაჭრო დაწესებულებებში, როგორც ბითუმი, ისე წვრილმანი ვაჭრობა სწარმოებს დღეში რვა საათს შეუწყვეტლივ.

ა) ზაფხულში (1 მაისიდან ვიდრე 1 ოქტომბრ.) დილის 9 საათ. 5 ს.

ბ) ზამთარში (1 ოქტ. ვიდრე 1 მაის). დილის 10 ს. საღ. 6 ს.

**შენიშვნა:** ყოველი მოსამსახურე, ვაჭრობის ნორმალ მიმდინარეობის დაურღვევლათ, აუცილებლივ თავისუფლდება დასასვენებლად, სამუშაო დღის განმავლობაში ნახევარ საათით; ასეთი დასვენებით სარგებლობის წესი მუშავდება დაწესებულების პატრონსა ან ადმინისტრაციასთან შეთანხმებით.

2) კონტორის მოსამსახურეთა სამუშაო დღე განისაზღვრება 6 საათით.

3) კვირაობით და მთავრობის დეკრეტით დაწესებულ უქმე დღეებში ვაჭრობა სრულიად არ სწარმოებს.

**შენიშვნა:** მხოლოთ პურით, ხორცით, თევზეულობით და ძეხვით მოვაჭრე დაწესებულებას ნება ეძლევა ივაჭროს კვირაობითაც:

ა) ზაფხულში-დილის 8 საათიდან დილის 10 საათამდე;

ბ) ზამთარში დილის 9 საათიდან დილის 11 საათამდე; მოსამსახურეთათვის გაორკეცებულ დღიური ხელფასის მიცემით.

4) ხილის, მწვანილის და სხ. სანოვაგის ბითუმად მოვაჭრე დაწესებულება გაღებულია:

ა) ზაფხულში - დილის 6 საათიდან—ნაშუადღ. 2 საათამდე, ბ) ზამთარში დილის 7 საათიდან—ნაშუადღ. 3 საათამდე.

5) ის წვრილი სავაჭროები, რომელნიც არ სარგებლობენ მოსამსახურეთა დაქირავებულ შრომით, ექვემდებარებიან ქ. თბილისის სავაჭრო დაწესებულებათა გაღება-დაკეტვის საერთო წესებს.

6. შაბათობის და უქმეების წინა დღეებით ყველა სავაჭრო დაწესებულებაში ვაჭრობა სწყდება დაწესებულ ვადაზე 2 საათით ადრე და არავითარ შემთხვევაში არ დაიშვება მოსამსახურეთა მიერ დახურულ კარებში მუშაობა.

7) მოსამსახურეთა მიერ დანიშნულ დროზე სამუშაოს დასამთავრებლათ შესწყდეს მყიდველთა სავაჭრო-დაწესებულებაში შეშვება დაკეტვის $1/2$ საათით წინ, ხოლო შესასვლელ კარებში გამოიკრას განცხადება „მაღაზია დაკეტილია“.

8) სავაჭრო დაწესებულებების პატრონნი ვალდებით გამოაკრან თვალსაჩინო ადგილას, როგორც შესაფერისი პლაკატი დაწესებულების გაღებისა და დაკეტვის დროს აღნიშვნით, ისე აღნიშნული სავალდებულო დადგენილება.

9) მოსამსახურეთა კომიტეტებს ევალებათ: თვალყური ადევნონ აღნიშნულ სავალდებულო დადგენილების ცხოვრებაში გატარებას და აცნობონ სათანადო რაიონის შრომის ინსპეკტორს ყველი შემთხვევა დადგენილების დარღვევისა.

10) აღნიშნული სავალდებულო დადგენილების დამრღვევნი, შრომის ინსპექტორთა განცხადებით, პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი, რესპუბლიკაში მოქმედ კანონების მიხედვით.

შრომის სახალხო კომისარი ლ. დუმბაძე.

საქ. პროფკავშირების საბჭოს მდივანი გ. ყურულიშვილი.

შრომის სახალხო კომისარიატის საქმეთა მმართველი მ. ბერძნიშვილი.

## ბრძანება № 8.

**კონტრრევოლიუციასა, ჯაშუშობასა, სპეკულიაციასა, სამსახურის დროს ჩადენილ ბოროტ-მოქმედებას და ცარცვაგლეჯასთან მებრძოლ საგანგებო კომისიისა.**

22 აპრილი, 1921 წელი ქ. თბილისი.

ვინაიდან ამ ბოლო დროს საგრძნობლად გახშირდა ქალაქ თბილისში და მის მიდამოებში ბნელ ელემენტების მიერ უმიზნო სროლის შემთხვევა, რომელიც არღვევს რევოლიუციონურ წესრიგს და ქალაქის მშვიდობიან მცხოვრებთა მყუდროებას, საქართველოს საგანგებო კომისია, როგორც ამგვარ დანაშაულთა წინააღმდეგ მებრძოლი და საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკაში რევოლიუციონურ წესრიგის და პირადი ხელშეუხებლობის დამცველი ორგანო, ნაჩვენებ ბოროტმოქმედებათა სავსებით აღმოფხვრის მიზნით უბრძანებს ქ. თბილისის და მის მიდამოებში მცხოვრებ ყველა მოქალაქეთ ვინც კი თან ატარებს ან სახლში ინახავს რაიმე სასროლ იარ-

# ინტერნაციონალი*)

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღზდეგ მშიერო, წამებულო,
მონებო მთელი ქვეყნისა,
ღელავს გონება მზად არს გული
დაანთოს ცეცხლი ბრძოლისა.
ჩაგვრის სამყაროს ხავს მოდებულს
მოვთხრით ჩვენ ძირფესვიანათ.
ჩვენ ჩვენს ქვეყანას შევქმნით ახალს
არარას გავხდით ყველაფრათ.
ეს არს ჩვენი მედგარი
გადამწყვეტი ბრძოლა,
ინტერნაციონალში
ჰპოვებს შვებას ყველა.

— —

ვერვინ მოგვცემს ჩვენ გამარჯვებას
ვერც ღმერთი, მეფე, ვერც გმირი,
გასჭედს ბედს თავისუფლების
ჩვენივე მკლავი ძლიერი.
ნაცად ხელით, რომ ჩაგვრა მოვსპოთ
საუნჯეს ბრძოლით ვეუფლოთ,
ქურას დავბეროთ, რკინას დავკრათ,
ვიდრე ცხელია მხნედ ვსჭედოთ.
ეს არს ჩვენი მედგარი
გადამჭრელი ბრძოლა,
ინტერნაციონალში
ჰპოვებს შვებას ყველა.

— —

მხოლოდ ჩვენ, მშრომელთ მთელი ქვეყნის
ფლობა გვეკუთვნის ფლობდეთ სამყაროს
მხოლოდ მაშვრალთ დიად რაზმსა
მუქთახორებს კი არასდროს.
საზარ ძაღლთა და ჯალათთ ხროვას
დაეცეს მეხი რისხვისა,—
მაშინ დაიწყებს მზე სხივთა ფრქვევას
გაჰქრება ბნელი ღამისა.
ეს არს ჩვენი მედგარი
გადამჭრელი ბრძოლა,
ინტერნაციონალში
ჰპოვებს შვებას ყველა.

---

აღსდეგ კრულვითა დაღდასმულო
ქვეყანავ მშიერ მონების,
საბედისწერო ომში გვიწვევს
დღეს აღშფოთება გონების.
ჩაგვრის სამეფოს მთლად აღმოვფხვრით
და მოვსპოთ ძირ-ფესვიანათ,
ჩვენ, ჩვენს ქვეყანას შევქმნით ახალს
არრად ქმნილთ გავხდით სვიანათ.
ეს არს ჩვენი მედგარი,
გადამწყვეტი ბრძოლა.
ინტერნაციონალში
ჰპოვებ შვებას ყველა.
მონობისაგან ჩვენ ვერ გვიხსნის
ვერც ღმერთი, მეფე, ვერც გმირი.
თავისუფლებას მოგვანიჭებს
ჩვენივე მკლავი ძლიერი.
თუ გვსურს მძლე ხელით ჩაგვრა მოვსპოთ,
ვიხსნათ საუნჯე ჩვენია,
დავბეროთ ქურას და მხნედ ვსჭედოთ
სანამდის რკინა ცხელია.
ეს არს ჩვენი მედგარი,
გადამწყვეტი ბრძოლა.
ინტერნაციონალში
ჰპოვებს შვებას ყველა.
მხოლოდ ჩვენ, მშრომელთ მთელი ქვეყნის
გვეკუთვნის ვფლობდეთ სამყაროს,
მხოლოდ ჩვენ შრომის დიად რაზმსა,
მუქთახორებს კი არასდროს.
და როს ჯალათთა და ძაღლთა ხროვას
დასჭექს ცა შურისძიებით
ჩვენთვის კვლავ იწყებს დიად ბრწყინვას
მზე ცეცხლოვანი სხივებით.
ეს არს ჩვენი მედგარი
გადამწყვეტი ბრძოლა.
ინტერნაციონალში
ჰპოვებს შვებას ყველა.

---

აღსდეგ, ქვეყანავ მშიერთა
და წყევლით დევნილ მონების,
გვიწვევს უსწორო ბრძოლად ხმა
აღშფოთებული გონების.
ჩაგვრის სამეფოს მთლად აღმოვფხვრით
და მოვსპობთ ძირ ფესვიანად.
ჩვენ, ჩვენს ქვეყანას შევქმნით ახალს
არრად ქმნილთ გავხდით სვიანად.
ეს არს ჩვენი მედგარი
გადამწყვეტი ბრძოლა;
ინტერნაციონალში
შვებას ჰპოვებს ყველა.
მონობისაგან ჩვენ ვერ გვიხსნის
ვერც ღმერთი, მეფე, ვერც გმირი—
თავისუფლებას მოგვანიჭებს
ჩვენივე მკლავი ძლიერი.
თუ გვსურს მძლე ხელით ჩაგვრა მოვსპოთ
ვიხსნათ საუნჯე ჩვენია—
დავბეროთ ქურას, და მხნედ ვსჭედოთ
სანამდის რკინა ცხელია.
ეს არს ჩვენი მედგარი,
გადამწყეტი ბრძოლა.
ინტერნაციონალში
ჰპოვებს შვებას ყველა.
მხოლოდ ჩვენ, მშრომელთ მთელი ქვეყნის
გვეკუთვნის—ვფლობდეთ სამყაროს,
მხოლოდ ჩვენ, შრომის დიად რაზმსა
მუქთა ხორებს კი—არასდროს.
და როს ჯალათთ და ძაღლთა ხროვას
დასჭექს ცა შურის ძიებით,
ჩვენთვის კვლავ იწყებს დიად ბრწყინვას
მზე-ცეცხლოვანის სხივებით.
ეს არს ჩვენი მედგარი,
გადამწყვეტი ბრძოლა.
ინტერნაციონალში
ჰპოვებს შვებას ყველა.

*) ჩვენ ვიძლევით მასალათ პროლეტარულ „ინტერნაციონალის“ თარგმანს სამ ვარიანტათ, რომელთა შორის ერთი, შუაში მოთავსებული, მოწონებულია სპეციალური კომისიის მიერ.

---

რაღს, დღიდან ამ ბრძანების გამოქვეყნებისა ათი დღის განმავლობაში, ჩააბარონ ასეთები საქართველოს საგანგებო კომისიასთან არსებულ საკომენდანტო ქვე-განყოფილებას. ქ. თბილისის საკომენდანტო სამმართველოს მიერ წინეთ მიცემული ყოველგვარი ნებართვა სასროლ-იარაღის ტარების შესახებ დღეიდან ცხადდება გაუქმებულათ და ამიტომ ასეთები ჩაბარებული უნდა იქნეს იარაღთან ერთად ზემონაჩვენებ ქვე-განყოფილებაში. წესი იარაღის ტარების ნებართვის მიცემისა და ან ასეთების უკან დაბრუნებისა გამოქვეყნებული იქნება დამატებით. იარაღების ჩაბარების პირველ დღეთ ინიშნება ამა წლის 27 აპრილს დილის 9 საათი. იარაღების მიღება იწარმოებს საქართველოს საგანგებო კომისიის შენობაში, პეტრე დიდის ქ. № 22, შესავალი ერმოლოვის ქუჩიდან, მეორე კარები, ცნობათა მაგიდა, სადაც მიღებული იარაღებზე მიცემული იქნება სათანადო კვიტანციები, როგორც გასამართლებელი საბუთი იარაღის ჩაბარებისა, ნაჩვენებ ვადის გასვლის შემდეგ ამ ბრძანების დამრღვევნი და იარაღის შენახვაში შენიშნულნი, დასჯილ იქნებიან უმაღლეს სასჯელით—დახვრეტით. შენიშვნა: ეს ბრძანება არ ვრცელდება სამხედრო ორგანოებში და მილიციაში მომუშავეთა პირებზე, რომელთაც თანამდებობით აქვთ იარაღის ტარება მიკუთვნილი. არ ეხება იგი აგრეთვე საქართველოს კომუნისტურ პარტიის წევრებს.

თავმჯდომარე კ. ცინცაძე.—ადმინისტრატიულ ორგანიზაციულ სამმართველოს უფროსი ვ. წიწვაძე.

მდივანი კ. იაშვილი.

## ამხ. ფილ. მახარაძის მოგზაურობა დასავლეთ საქართველოში

**ქუთაისში.**

(გაგრძელება)

11 აპრილი.

აქ შემოგვეგება ქუთაისის რევკომის თავმჯდომარე ამხ. დ. ლორთქიფანიძე, რომელთანაც ერთად შემდეგ გავსწიეთ რევკომის ბინისაკენ.

აქ ჯერ მიესალმენ ამხანაგები ამხ. ფილიპეს, ხოლო შემდეგ გაიმართა პატარა ინფორმაციული ხასიათის თათბირი.

დღეს უნდა გახსნილიყო ქუთაისის გუბერნიის სამაზრო და სათემო რევკომებთა წარმომადგენლების კონფერენცია, ქუთაისის რევკომის მიერ მოწვეული.

კონფერენციის ბინათ დაენიშნათ ედგილობრივ პარტკომის შენობა, ყოფილი „გრანდ-ოტელი“, და აი კონფერენციაზე მიწვეულ ამხ. ფილიპეს, ამხ. ალ. ერქომაიშვილთან ერთად გაგვიძღვენ აქეთკენ.

**კომუნიზმისთვის წამებულნი.**

... ჩვენ გვქონდა ცნობა, ვიცოდით როგორც საქართველოს რევკომის უკანასკნელი დღის რადიოთი, ისე მანამდისაც, მენშევიკების მიერ წამებულ ამხანაგების—პავლე მარდალეიშვილის, ივანოვის და სხვების საშინელ ტანჯვაზე, მაგრამ ჩვენთვის სრულებით უცნობი იყო ის, რომ ამ დასახიჩრებულ გვამების ფოტოგრაფიული სურათები ინახებოდა პარტკომის ბინაზე; და აქ საკრებო დარბაზში შესულთ ჩვენ მოულოდნელათ წარმოგვიდგა ცოცხალ ყვავილებში მორთული, მაგიდაზე მიწყობილი ზემოთ აღნიშნულ გვამების სურათები.

ამხ. ფილიპეს, და მასთან ერთად ყველა დანარჩენებს ჩვენ, ამ სურათების დანახვამ ცივ-ცხელი ოფლი დაგვასხა. სახეები დაგვილმიჟა, საზარელი გრძნობის ზეგავლენით თითქო გულებმაც შეცადა სასიცოცხლო ცემა შეეწყვიტა.

— ... მეთორმეტე, და მეთექვსმეტე საუკუნის ინკვიზიცია ამასთან ხომ აჩრდილია, სუსტი აჩრდილი!—სთქვა ბოლმით აღვსილმა ამხ. ფილიპემ ნელი ხმით.

... ფეხ მომსხვრეული, შეტრუსული მთელი ტანით ცეცხლზე, მაღლა ამართულ გაჩხირებულ ხელით, უზომო ტკივილებისაგან არა ადამიანურ სახე მიღებული,—აი წამებული პავლე მარდალეიშვილის გვამის სურათი.

მოტეხილ ფეხით, რამდენიმე ადგილას ტანზე გაჩეხილი წელებ გადმოყრილი, რომელსაც ალბათ ჯერ კიდევ ცოცხალს—განუზომელ სიმწრისაგან თავისი საკუთარი ხელები პირთან მიუტანია და საშინლათ კბენს, იკვნეტს,—აი წამებული ივანოვის გვამის სურათი.

—. არა ამხანაგებო! ამის აქ დახურული კარებში შენახვა კი არ არის საკმარისი- არამედ ეს უნდა გადიდდეს ფოტოგრაფის საშუალებით და ასე უნდა იქმნას ქუჩაში, ყველას დასანახავათ გამოკიდული... დეე გახდეს სარწმუნო ყველა „ურწმუნო თომებისათვისაც“ მენშევიკების ინკვიზიტორობა, მენშევიკების მიერ წამებული რევოლიუციონერების გვამები!—სთქვა სურათით შეძრუწუნებულმა ამხ. ფილიპემ.

**ქუთაისის გუბერნიის სამაზრო და სათემო რევკომებთა თავმჯდომარეების კონფერენცია.**

სანამ ჩვენ წამებული ამხანაგების სურათებს დავათვალიერებდით, პარტკომის საკრებო დარბაზში უკვე მოგროვილიყვნენ კონფერეციის წევრები.

ისინი წარმოადგენდენ შემდეგ მაზრებს და თემებს: 1) ქუთაისი, 2) ჭიათურა, 3) ლეჩხუმი, 4) შორაპანი, 5) ზუგდიდი, 6) სენაკი, 7) ჩოხატაური, 8) ოზურგეთი, 9) გლდადი, 10) სამტრედია, 11) ხოპი 12) ფოთი, 13) ბელაგორი, 14) ტყიბული და 15) ხონი.

კონფერენცია გახსნა ამხ. დ. ლორთქიფანიძემ. თავმჯდომარეთ არჩეული იქმნა ამხ. ქაცარავა, მდივნათ ამხ. მამულია.

დღის წესრიგში იდგა შემდეგი კითხვები: 1) ჩვენი ეკონომიური პოლიტიკა; 2) გუბრევკომის მოხსენება; 3) ყველა განყოფილებათა მოხსენება; 4) მოხსენება ქუთაისის გუბერნიის ადმინისტრატიულათ დაყოფის შესახებ და 5) მიმდინარე საკითხები.

სანამ ამ კითხვებზე მოხსენებებს გააკეთებდნენ და მსჯელობას შეუდგებოდნენ, ამხ. ფილიპე მახარაძემ გააკეთა მოხსენება შემდეგ თემაზე: „საერთაშორისო მდგომარეობა და საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკა“.

ამხ. ფილიპეს გამოსვლამ გამოიწვია ხანგრძლივი ტაშის ცემა, ოვაციებში გადასული.

ამხ. ფილიპემ თავის მშვიდ, შინაარსიან, ყოველმხრივ გაშუქებულ მოხსენებაში შეეხ. რა შექმნილ მსოფლიო მდგომარეობას, დაასკვნა:—რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის ბრწყინვალე გამარჯვება ირგვლივ შემორტყმულ სამხედრო ფრონტებზე ერთის მხრივ, ომიდან დასუსტებულ ბურჟუაზიული ევროპის კატასტროფიული ეკონომიური კრიზისი და მისგან წარმოშობილი მსოფლიო მუშათა კლასის მუდმივი გაფიცვები მეორე მხრივ,—მიზეზი გახდა იმისი, რომ—არა თუ მარტო ფრონტი მოშლილიყო,—სავაჭრო ხელშეკრულების პირობებიც დადებულიყო და რევოლიუციის ჩამქრობელ ტყვია-წამლების გზავნის ნაცვლად, ჩვენ აწი მივიღებთ ამავე რევოლიუციის საკვებ და გასამაგრებელ სანოვაგეს და მაშინებს. ამხ. ფილიპემ შეეხო შემდეგ ჩვენს შინაურულ ცხოვრებას და სთქვა: შექმნილი გარეშე პირობები ჩვენ ნებას მოგვცემს ვაწარმოვოთ შინაურ ფრონტზე მშვიდობიანი შემოქმედებითი მუშაობა... ამ მუშაობის შედეგი იქნება აუცილებლათ ის, რომ ხალხი, მშრომელი ხალხი დააფასებს კომუნისტებს, ხალხი შეიყვარებს შობილ თავის რესპუბლიკას, და შემდეგ ჩანერგილ სიყვარულის გრძნობას მისადმი ვერავითარი ძალა ვერ ამოფხვრის, რაც ყველა მტრების და მოყვარეების საჩვენებლათ უკვე დაამტკიცა საბჭოთა დიდი რუსეთის ოთხი წლის არსებობამ. ამ მუშაობის პროცესში არ უნდა დავივიწყოთ კი, რომ ჩვენ დაგვჭირდება დიდი სიფრთხილე.. ჩვენზე დიდ იმედებს ამყარებენ რუსეთელი ამხანაგები იმ მხრივ, რომ მათ მიერ მოცემულ გამოცდილებებს ჩვენ საკმაოთ გამოვიყენებთ; არ გაუშვებთ მხედველობიდან როგორც მათ შემცდარ, არა სასურველ ნაბიჯებს, ისე არ დავივიწყებთ, ვიხელმძღვანელებთ თან სახელმწიფოს შენების პროცესში მათ წარმატებითი, სწორი მუშაობის კარგ შედეგიდაც.

შემდეგ მან შეეხო მიწის საკითხის გადაჭრას—თუ ვის მიერ, და როგორ უნდა იქმნას იგი სოფლათ განაწილებული და სთქვა: მიწის გამწესრიგებელი კომისია თუ კომიტეტი უნდა შესდგეს თვით ღარიბეს მიწის მუშებისაგან. ამ კომიტეტს, რომელსაც მიწის დასამუშავებლათ დასჭირდება ხოლმე თესლი, იარაღი, ცხენი, თუ ხარები,—რაც ღარიბ—ღატაკ გლეხს იშვიათად გააჩნია,—ყველაფერში ეხმარება, უწყობს ხელს მთავრობა, მისი აპარატი. დღევანდელი მთავრობას, მშრომელი ხალხისგან ყველაფერი მოეთხოვება: ამას ჩვენ ვგრძნობთ და ხალხისთვის ამ სამსახურის გასაწევათ ვემზადებით კიდეც...

ამხ. ფილიპე შეეხო ქვევით სახელმწიფო აპარატის შექმნის მძიმე პირობებს და სთქვა: ჩვენ იმ დროს გვიხდება ამ ახალ წყობილების აშენება, როცა არ მოგვეპოვება არც ერთ ალაგას გლეხთა თუ მუშათა საბჭოები,—ეს მიუცილებელი პირობა საბჭოთა რესპუბლიკის არსებობისათვის. ეს კი ყოველივე ჰქონდა ძალა-უფლების ხელში აღების დროს რუსეთის პროლეტარიატს. ამიტომ მათი მდგომარეობა მაშინ, და ჩვენი დღეს სულ სხვა და სხვა არის... ჩვენი შინაური,—როგორც პოლიტიკური ისე ეკონომიური,—მდგომარეობა რთულია, კრიტიკულია, თუმცა სამაგიეროთ საერთო საგარეო მდგომარეობაა ძლიერ ხელსაყრელი იმით, რომ ომი აღარ სწარმოებს არც ერთ ფრონტზე, ყველა წინანდელი მტრები ერთხმათ გვპირდება „მეგობრობის“ ჩამოგდებას, სავაჭრო კავშირის დაჭერას ჩვენთან და სხვა... ხოლო ეს უკანასკნელი ისე კი არ უნდა გავიგოთ რომ იმათ თითქო ჩვენი რამე მოეწონათ, ჩვენ ძალიან შეუყვარდით. არა ყოველივე ეს იმით უნდა ავხსნათ, რომ თვით ბურჟუაზიულ ევროპაში, ძლიერ გამწვავდა მდგომარეობა... იქ იზრდება უმუშევართა რიცხვი, იზრდება რევოლიუციონური მოძრაობა და აი, ეს საშიშარი მდგომარეობა რომ თავიდან აიცილონ, იმათ უნდათ დაიჭირონ ეკონომიური კავშირი ნედლი მასალებით მდიდარ საბჭოთა დიდ რუსეთთან, და საერთოდ ყველა თავიანთ ანტიპოდ საბჭოთა რესპუბლიკებთან... ეს კი ჩვენთვისაც არის ამ ხანათ ძლიერ ხელსაყრელი... თუ ჩვენ მივიღებთ მიწის დასამუშავებელ სხვა და სხვა იარაღებს, ფაბრიკა-ქარხნებისათვის გამოსადეგ მაშინებს, ორთქლ-მავლებს ეს დაგვათესიებს მიწებს, აგვიმუშავებს ახალ-ახალ ფაბრიკა-ქარხნებს, გაგვიადვილებს რკინის გზის საქმის მოწესრიგებას.

ბოლოს ამხ. ფილიპე შეეხო ბურჟუაზიულ ევროპასთან დამოკიდებულებას და სთქვა: „აქ ერთგვარი შეჯიბრებაა ხოლმე,—ვინ მოიგებს, ვინ უფრო მოატყუილებს ერთმანეთს, ვინ ვის გამოიყენებს თავიანთ პოლიტიკური მიზნებისათვის.

საბჭოთა მთავრობას ყოველივე ეს მხედველობაში აქვს მიღებული და აქედან გამოსული მოქმედებს.

. . . ამხანაგებო! ჩვენ რომ გაჭირვებული მდგომარეობა გვაქვს აქ ეს არ უნდა დავმალოთ, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ აქედან გამოსავალ გზასაც ვიპოვით მზგავსათ რუსეთის პროლეტარიატისა.

დაბოლოს მიღებულ იქმნა ერთხმათ შემდეგი რეზოლიუცია:

„მოვისმინეთ რა მოხსენება საქართველოს რევკომის თავმჯდომარე ამხ. ფილიპე მახარაძისა, ვიწონებთ მას, და უდებთ საფუძვლათ მომავალ ჩვენს მოქმედებას საბჭოთა სახელმწიფოს შენების საქმეში“.

კონფერენცია დაიშალა და მისი გაგრძელება გადაიდო საღამოსათვის.

ამხ. ფილიპე ფიქრობდა იმ ღამესვე გაეგრძელებია გზა ბათომისაკენ, მაგრამ გვაცნობეს ამხანაგებმა, რომ—ხვალ 12 აპრილს ნაშუადღევის ხუთ საათზე დანიშნულია პარადი—მიტინგი და საჭირო დაცდა, დასწრებაო.

ჩვენ დავრჩით.

12 ამ დღეს დილით, სამან პარადი-მიტინგი შესდგებოდა,—გაიმართა პასუხის მგებელ კომუნისტთა კრება—თათბირი სადაც ამხ. ფილიპემ გააკეთა მოხსენება პარტიის აპარატის შექმნის, და პარტიულ მუშაობის გაძლიერების შესახებ. მოხსენება ძლიერ შინაარსიანი და საყურადღებო იყო.

სხვა და სხვა მაზრებიდან კონფერენციაზე ჩამოსულმა ამხანაგებმა ფილიპეს შემდეგ გააკეთეს მოხსენებები ადგილებიდან პარტიულ მუშაობის მდგომარეობას შესახებ.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ, რომელშიც მხურვალე მონაწილეობას ღებულობდენ ამხ. საშა გეგეჭკორი და ალ. ერქომაიშვილი,—თათბირმა მიიღო მუშაობისთვის სახელმძღვანელო შესაფერისი რეზოლიუცია.

**სევასტი.**

(გაგრძელება იქნება).

## ქრონიკა

**სახელმწიფო დრამის თეატრში.** დღეს განმეორებულ იქნება ტრ. რამიშვილის პიესა „შეშლილნი“ ალ. წუწუნავას რეჟისორობით და დ. კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირი“.

**მილიციაში** საქართველოს ს. ს. რ. რევკომის დადგენილების თანახმად, უქმდება თბილისის საგუბერნიო მილიციის გამგეობა და არსდება რესპუბლიკის მილიციის მთავარი სამმართველო. მილიციის მთავარ სამმართველოს უფროსად ინიშნება კ. რატიშვილი. პოლიტიკურ კომისრათ ზ. ტრაპაიძე. აღნიშნულ სამმართველოს შტაბის უფროსა[...] ა. ფურცელაძე. შტაბის პოლიტიკ[...] კომისრათ ი. იობიძე; საერთო კან[...] ლარიის უფროსათ გერასიმე ქავთარ[...]

**გორის აღდგენა.** არსდება მ[...] ძვრისაგან დანგრეულ გორის რა[...] ადგილების აღმდგენელი გამგეობ[...] ეე გამგეობას მიენდობა მეთვალყუ[...] მენშევიკთა მთავრობის ექსპედი[...] გან დაზარალებულ ოსეთის რა[...] აღდგენისა. მთავარი გამგეობა ი[...] გორში და სათავეში უდგას ინჟენ[...] ვ. იაკუბოვიჩი.

**საქართველოდან გასვლის ნებარ[...]** ქალაქის რევკომის სამმართველოს [...] ნყოფილებასთან არსებულ საქართველოსთან გასვლის ნებართვის მიმცემი ბიურო აცხადებს, რომ კერძო პირთ, რომელთაც სურთ პირადათ წასვლა რუსეთში, სომხეთში და აზერბაიჯანში დროებით ნებართვა არ მიეცემათ. მათი გაგამგზავრება მოხდება მხოლოდ წესიერათ მოწყობილ ცენტრალურ საევაკუაციო განყოფილების საშუალებით. სამოქალაქო დაწესებულების საბჭოთა მოსამსახურეებს ნებართვა მიეცემათ იმ დაწესებულებათა მივლინების მოწმობის თანახმად, რომელშიაც ისინი მსახურებენ.

**ლიტერატურა აღმოსავლეთის ენებზე.** იმ პირთ, ვისაც აქვთ ამიერ-კავკასიაში 1918—21 წ. გამოსული ბეჭვდითი ნაწარმოებნი (წიგნები, ბროშურები, გაზეთები, პლაკატები, სურათები, პროკლამაციები) თურქულ სპარსულ ყველა კილო-კავებზე, აისორულ, ბერძნულ და ქართულ ენებზე, უნდა მოიტანოს აღნიშნული ნაწარმოები საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოში (სასახლე) დილის 9-11 საათამდი გამგის თანაშემწე ხ. დ. რომანოვთან, ბიბლიოგრაფიული აღწერისთვის და მათი შესყიდვის მოლაპარაკებისათვის.

**საფოსტო კონვენცია საქართველოსა და აზერბაიჯანის შორის.** 21 აპრილს ხელმოწერილია საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის დადებულ საფოსტო კონვენციის ხელშეკრულება. აზერბაიჯანის წარმომადგენელათ არის კონვენციის ხელის მოწერაზე უფლებით აღჭურვილი ამხ. ვრაჩევი. კონვენციის მთავარი შინაარსი შემდეგია: გადაწ[...]

ყვეტილია დროებით, მხოლოდ უბრალო დაზღვეულ საფოსტო კორესპონდენციის მიღება. განზრახულია საფოსტო მატარებლები აამოძრაონ პირდაპირი გზით ბათომ-ბაქო; ამასთან აზერბაიჯანის მთავრობა იძლევა სამ საფოსტო ვაგონს საფოსტო მატარებლების ბრიგადა შეიცვლება ხოლმე აქსტაფაში. კორესპონდენციის გადასახადი ფასი და მისი მიღების წესი დროებით რჩება არსებული სახით.

**ლიტერატურა ადგილობრივ ენებზე.** იმ პირთ, ვისაც აქვთ ამიერ-კავკასიაში 1918—21 წ. გამოსული ბეჭვდითი ნაწარმოებნი (წიგნები, ბროშიურები, გაზეთები, პლაკატები, სურათები, პროკლამაციები) თურქულ სპარსულ ყველა კილო-კავეზე, აისორულ, ბერძნულ და ქართულ ენებზე, უნდა მოიტანონ აღნიშნულ ნაწარმოებნი საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოში (სასახლე) დილის 9—11 საათამდე გამგის თანაშემწე ს. დ. რომანოვთან, ბიბლიოგრაფიული აღწერისთვის და მათი შესყიდვის მოლაპარაკებისათვის.

**ქალაქის სტატისტიკური ბიურო.** სახელმწიფო სტატისტიკის დებულების თანახმად თფილისის, რევკომმა გამოყო ქალაქის კომუნალურ განყოფილებიდან სტატისტიკური ქვე-განყოფილება, როგორც დამოუკიდებელი ორგანო, სახელწოდებით: „ქალაქის სტატისტიკური ბიურო". ყოველგვარი სტატისტიკური გამოკვლევა ქალაქის საზღვრებში და ქალაქის ყველა დაწესებულებების სტატისტიკა ამ ბიუროს ექვემდებარება. ბიუროს გამგედ დაინიშნა ქალაქის ყოფილი გამგეობის სასტატისტიკო განყოფილების გამგე ა. გ. რუხაძე.

**ცენტრალურ** სტატისტიკურ გამგეობის განკარგულების თანახმად ქალაქის რევკომის სტატისტიკური ბიურო შესამჩნევად აფართოებს თავის მოქმედებას და ადიდებს ბიუროს პირად შემადგენლობის შტატს.

**ბავშვების აღწერა.** ამ დღეებში ქალაქის სტატისტიკური ბიურო შეუდგება ქალაქ თბილისის ბავშვების აღწერას, დაჰყოფს მათ წლოვანების მიხედვით და გამოარკვევს მათს კვებას. წინასწარი მუშაობა უკვე დაწყებულია: გამოკვლევის შემდეგ შემუშავდება ბავშვების მარაგის გეგმა.

**ქალაქების ახლად დაგეგმვა.** სახელმწიფო საამშენებლო კომიტეტის მიერ მოწვეულ საზოგადოებრივ და ტეხნიკურ ძალების სხდომაზე აღიძრა საკითხი ქალაქების ხელახლად დაგეგმვის შესახებ. პირველყოვლისა, გორის. შემდეგ განზრახულია ბათომის ხელახალი დაგეგმვა. აზრად აქვთ ქალაქ-ბაღების გაშენება.

## ხელოვნება

**ხელოვნების სასახლეში.**

26 აპრილს, ქართველ ხელოვანთა სასახლეში პოეტები პაოლო იაშვილი და ტ. ტაბიძე გააკეთებენ მოხსენებას შემდეგ თემაზე: პაოლო იაშვილი—არტურ რემბოზე, ტაბიძე—ლაფორგზე. ქართველ მწერალთა კავშირს განზრახული აქვს [...]ლო მომავლიდან დაიწყოს სისტემატი[...]თ ხელოვანთა სასახლეში სალიტე[...]ტურო-სამუსიკო საღამოების გამარ[...]. საღამოს მოწყობა დავალებული [...] ქართ. დრამის რეჟისორს წუწუნა[...] კომპოზიტორ მ. ბალანჩივაძეს და [...] პაოლო იაშვილს.

[...]ართველ მწერალთა საბჭო ყოველ[...]მებს ღებულობს, რომ ბრწყინვალეთ [...]ღესასწაულონ ქართულ პოეზიის დღე [...]მაისი. ამ დღის მოსაწყობათ მოწვეულია [...]უკეთესო ლიტერატურული და არტი[...]ტიული ძალები.

ქართველ მწერალთა საბჭომ დაადგინა: მიწადმოქმედების სახალხო კომისარს სთხოვოს, რომ გადასცეს მათ განკარგულებაში საბოსტნე მიწის ნაჭერი ქალაქის ახლოს. ამ საქმის მოწყობა დავალებული აქვს ტაბიძეს, აღლაძეს და გვანცალაძეს. 7 მაისისთვის დანიშნული ქართველ მწერალთა კონფერენცია ტეხნიკურ დაბრკოლებათა გამო გადაიდო.

## მკითხველის წერილები

**წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია.**

დიდი ხანია რაც ჩვენმა ხალხმა სწავლის, წერა-კითხვის ცოდნის მნიშვნელობა შეიგნო. მას კარგად აქვს შეთვისებული მნიშვნელობა ძველი ხალხური თქმულების „სწავლა სინათლეა, უსწავლელობა სიბნელე," მიტომ იყო, რომ ის თავიდანვე მიისწრაფოდა სინათლისკენ, ებრძოდა ყოველგვარ დაბრკოლებას, რაც კი წინ ეღობებოდა წერა-კითხვის გავრცელებას; ამით აიხსნება ყოველ წლობით საგრძნობლად ზრდა სახალხო სკოლების რიცხვისა.

ჩვენი მშრომელი კლასი თავის უკანასკნელ საშვალებასაც არ ზოგავდა წერა-კითხვის შესასწავლად. საქართველოს გლეხობამ და მუშებმა კარგად შეიგნო, რომ მას ძველი გზით სიარული აღარ არგია, რომ ცხოვრება გართულდა, მან წამოაყენა ათასგვარი საკითხები, რომლის გადასაჭრელად საჭიროა შეგნებული, გათვითცნობიერებული მუშები და გლეხობა. დღეს საქართველოს მშრომელ მასებს აინტერესებს არა მარტო ის თუ რა ხდება მის მიწა-წყალზე, არამედ უცხოეთის ცხოვრებაც, მიტომ არის, რომ ხშირად გლეხი მუშაობისაგან დაღლილი მიეშურება სოფლის სკოლის თუ სამკითხველოსაკენ გაზეთისათვის, და თუ თვითონ კითხვა არ იცის, სხვას ემუდარება: აბა შენი ჭირიმე წამიკითხე რა ახალი ამბებია ამ გაზეთშიო და გულმოდგინეთ უგდებს ყურს.

ასე ძლიერია ჩვენში სწავლის წყურვილი, მაგრამ სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ ჯერ ძალიან ბევრი გლეხი თუ მუშა გვყავს წერა-კითხვის უცოდინარი; ეს იმიტომ, რომ ჯერ ერთი საყოველთაო სწავლა ვერ განხორციელდა. ამის დამაბრკოლებელი იყო უკანასკნელ წლებში ჩვენ პოლიტიკური ვითარება.

დღეს კი პირობები შეიცვალა, დაიწყო ახალი სახელმწიფოებრივობა, ჩვენს ცხოვრებაში, დამყარდა ახალი ხელისუფლება, რომელმაც დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს საქართველოს ხალხის კულტურულად განვითარებას; ამ დიდი მიზნისათვის მთავრობამ არ უნდა დაზოგოს არც თანხა და არც არავითარი ღონისძიებანი; და უნდა სამართლიანად ითქვას, რომ მთავრობამ მართლაც ეხლავე მიაქცია ჯეროვანი ყურადღება ხალხის კულტურულად აღორძინებას. მან მიზნად დაისახა მოახდინოს სრული ლიკვიდაცია წერა-კითხვის უცოდინარობისა. ამ მიზნით დაარსდა სახალხო განათლების კომისარიატთან პოლიტიკური განათლების მთავარი გამგეობა, რომლის მიზანი სხვათაშორის არის იბრძოლოს წყვდიადს, როგორც სოფლად ისე ქალაქად, შეიტანოს იქ ხალხის მაცოცხლებელი კულტურისა და ცოდნის ლამპარი, ეს ფრიად მისასალმებელი ნაბიჯია.

მეტად დამაბრკოლებელ პირობებში უხდება ხსენებულ ორგანოს ამ დიდი საქმის დაწყება. უკანასკნელ წლებში გამეფებულმა ეკონომიურმა კრიზისმა, გართულებულმა, უკანასკნელი ომის შედეგებით ერთგვარი პსიქოლოგიური გადატეხა მოახდინა ამ მხრივ საქართველოს მშრომელ მასაში: დღეს უმთავრესი მისი ყურადღება ყოველ-დღიურ არსებობის—თავის გამოკვების საკითხმა ჩაყლაპა. მაგრამ მიუხედავად ამისა ხსენებული ორგანო თუ გამოიჩენს უნარს, გაიორკეცებს ენერგიას, ის დასძლევს დაბრკოლებას.

ინსტრუქტორი.

## პროფესიონალურ კავშირებში

პროფკავშირების საბჭომ ერევნიდან შემდეგი დეპეშა მიიღო: „დაშნაკთა ავანტურისტულ აჯანყების ჩაქრობის შემდეგ სომხეთის კავშირის საბჭო, იწყებს რა მუშაობას, უგზავნის თავის კომუნისტურ სალამს საქართველოს პროლეტარიატს. ეხლა, როდესაც ამიერ-კავკასიის კონტრ-რევოლიუცია საბოლოოდ დამარცხებულია და კავკასიაში აღმართულია წითელი დროშა საერთაშორისო პროლეტარიატისა, ამიერ-კავკასიის მუშათა კლასი უწვდის ძმურ ხელს რუსეთის პროლეტარიატს და შესძლებს საერთო ბრძოლით დანგრეულ სახალხო მეურნეობის აღდგენას.

**დაბალთა კავშირში.** გამგეობამ დაადგინა სასწრაფოდ გააძლიეროს რიცხვი მომუშავეებისა საბჭოთა პირველ ქარხანაში, რათა სამუშაო გაუჩინონ იმ უმუშევარ დაბალებს, რომელნიც დიდს ხელმოკლეობას განიცდიან. ახალ ტარიფის შემუშავებამდე ახლად გამართულ სამუშაოზე უმუშევრებს ჯამაგირი არ დაენიშნებათ, მხოლოდ ჯამაგირის ანგარიშში ავანსები მიეცემათ.

კავშირის გამგეობამ დაადგინა სახალხო მეურნეობის საბჭოს მიმართოს, რათა საშუალება მისცეს დაბალთა განყოფილებას თრიმლისა და ტყავის გამოსაყვან სხვა მასალათა შესაძენათ.

**ხის დამმუშავებელთა კავშირში.** ხის დამმუშავებელთა კავშირმა საამშენებლო მუშათა კავშირთან საზიაროდ გახსნა სასადილო, ორთავე კავშირის წევრთათვის პუშკინისა და მეხრანის ქუჩების კუთხეში. სადილი ორ თავისაგან შესდგება და ღირს 200 მანეთი.

მადათოვის კუნძულზე მოეწყო საბჭოთა დიდი სადურგლო სახელოსნო მუშაობისთვის, რომლისთვის საჭიროა დურგლები (ხარატები, სკამების მწყობელნი, მექუსლეები, რომლებიც უწინ მუშაობდნენ კერძო სახელოსნოებში.) კავშირის გამგეობამ აპრილის 20 აირჩია პრეზიდიუმის თავმჯდომარედ ამხ. ამბარდენოვი. მასვე დაეკისრა პროფეს. კავშირის ეკონომიური განყოფილების გამგებლობა.

## მუშათა ცხოვრება

**შრომის სახალხო კომ. საკონფლიქტო განყოფილება.**

10 დან 14 აპრილამდე შ. ს. კ. საკონფლიქტო განყოფილებაში შემოვიდა 116 საქმე. მათგან გაირჩა 52, გადაეცა კოლეგიას განსახილველად 3, მომჩივნის გამოუცხადებლობის გამო გადაიდო 3, მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო გადაიდო 4, გარჩევისათვის საკმაო მასალის უქონლობის გამო გადაიდო 8, ხელახლა დაინიშნა გასარჩევათ 30, გადაეცა კავშირებთან არსებულ საკონფლიქტო კომისიას 10.

ეს საქმეები აღძრულია 10 შემთხვევაში კერძო მოსამსახურეების მიერ, 103 შემთხვევაში მუშათა ჯგუფების, ორგანიზაციების და მოსამსახურეების მიერ და 3 შემთხვევაში ცალკე დამქირავებელთაგან. კონფლიქტების საქმეები ხასიათის მიხედვით დაყოფილია შემდეგ კატეგორიებათ: 1) უკანონო ანგარიშის გასწორება დათხოვის დროს (უმთავრესად სალიკვიდაციოს შესახებ—55 საქ). 2°/₀ ხელფასის დაჭერა და არ მიუცემლობა 36 საქ., ტარიფის შეუსრულობა—7, 4) უკანონო დათხოვნა—17, 5) ადგილის შეუფერებლობა—1. 28 შემთხვევაში საქმე გადასწყდა მუშათა სასარგებლოთ, 4—დამქირავებლის სასარგებლოთ, 8—ადგილობრივ ერთისა და მეორეს სასარგებლოთ და 8-ში მხარენი ერთმანეთში მორიგდნენ.

**სარაიონო ამბულატორიების გახსნა.**

შრომის სახალხო კომისარიატის, სოციალურ უზრუნველყოფის კომისარიატის, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის და საავადმყოფო კასების წარმომადგენელთა შერეულმა კომისიამ ა. წ. აპრილის 18-ს დაადგინა: ყველა სამრეწველო რაიონში სადაც რომ ფაქტიურად სცხოვრობენ მუშები, გახსნან სპეციალურად მუშებისთვის ამბულატორიები. კერძოდ თფილისში საჭიროა ამბულატორიები ქალაქის შემდეგ ნაწილებში: 1) ორთაჭალაში, 2) ავლაბარ ნავთლუღში, 3) ვერაზე, მიხაილოვის ქუჩაზე და სხვ. უკანასკნელი იქნება ცენტრალური, სადაც მიიღებენ ავადმყოფებს სხვადასხვა სპეციალობის ექიმები. სარაიონო ამბულატორიებში უნდა იყვნენ შინაგან ავადმყოფებათ, ქირურგის და ქალების სნეულებათ (სასურველია ქალი ექიმი) სპეციალისტები, და ავადმყოფ მუშათა მოვლისთვის წინადადება მიეცა ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს შეიძინონ ავადმყოფ მუშა-მოსამსახურეებისთვის სპეციალური საწოლები. საჭიროა სანატორიუმების გახსნა, მუშებისთვის, პირველ ყოვლისა აბასთუმანსა და ბორჯომში.

**მუშათა დაზღვევა ავადმყოფობის და დასახიჩრების შემთხვევებისათვის**

შერეულმა კომისიამ, რომელშიაც შედიოდნენ შრომის სახალხო კომისარიატის, სოციალურ დახმარების, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის და საავადმყოფო კასების წარმომადგენელნი, თავის სხდომაზე 18 აპრილს დაადგინა: გაერთიანებულ იქნეს დაზღვევის ეს ორი დარგი. დამზღვევ ამხანაგობაში მონაწილე დასახიჩრებული იღებს დახმარებას ადგილობრივ საავადმყოფო კასიდან და სადაც კი ეს კასა არ არსებობს, მაშინ მის სანაცვლო დაწესებულებებიდან.

## პროვინციაში

**პანკისი** (თიანეთის მაზრა). პანკისი მდებარეობს თიანეთიდან ორმოცდა ხუთი ვერსის მანძილზე და თელავიდან კი ოცდა თვრამეტ ვერსზე. აქ მდ. ალაზნის ხეობაა. ალაზნის ორივე ნაპირზე ცხოვრობენ თუში, ფშაველი, ქისტი და ოსები, რომელთა შორის ხშირათ ხდება უსიამოვნება ადგილის სივიწროვის, კულტურულ და ეკონომიურ ჩამორჩენილობის გამო. აქ არსებობს ორი სკოლა, დატოვებული უყურადღებოთ; ან რას უნდა გახდეს ორი სკოლა შვიდას სამოცი კომლისთვის (760 კომლია პანკისში). ამასთანავე, როგორც ზევით ვთქვი, ალაზანი ჰყოფს ორ ნაწილათ მცხოვრებს და რადგანაც მდ. ალაზანი დიდია, მარჯვენა ნაპირზე მცხოვრებნი სრულებით ვერ სარგებლობენ სკოლით, ვინაიდან ხშირათ მსხვერპლი მოაქვს ალაზანს. პანკისში მცხოვრებნი საკმარისათ ვერა ხნავენ მიწას, რადგანაც არა აქვთ საკმაო. ამ მიზეზით უფრო უხდებათ უსიამოვნება მცხოვრებლებს. პანკისი მთა ალაგია და ყანებისთვის არა ხელსაყრელი. შარშანაც დაძრა ყინვამ მთის სიმინდის ყანა.

აქ არ არის ვენახი და არც ბაღი. გზები ძლიერ გაფუჭებულია. პანკისი სრულებით უყურადღებოთ არის დატოვებული ექიმის მხრივ და წამალს ვერ შოულობენ. აქ არ არსებობს არაფერი ორგანიზაცია, მხოლოდ აპრილის თორმეტში დაარსდა კომუნისტური ბიურო პანკისი შეადგენს ახმეტის უბნის ნაწილს. ახმეტიდან პანკისამდე ცამეტი ვერსია, ხოლო მგზავრს აქვს გასავლელი მდ. ილტო, რომელსაც მუდამ გაზაფხულზე ადამიანის უთვალავი მსხვერპლი მოაქვს. ახმეტის ახლო თელავის გზა სამ ვერსზე სრულებით გაუქმებულია, მგზავრები დადიან მოხნულებზე. ამას გარდა ახმეტის სოფელში კაცი ველარ გაივლის, ისეა გზები გაფუჭებული. რაც შეეხება თიანეთის გზას, ამაზე ზედმეტათ მიმაჩნია ლაპარაკი, ვინაიდან იგი გაუქმებულია სრულებით.

4 აპრილიდან პანკისში დავიწყეთ კრებები, საცა იმ დრომდე ორგანიზაცია არ არსებობდა. ამოვირჩიეთ რამდენიმე პარტიული ამხანაგი, რომლებსაც უნდა დაეწყოთ მუშაობა. რადგანაც პანკისი ეკუთვნის თიანეთის მაზრას, ამორჩეულებთან ერთად წავედით თიანეთში და მოვთხოვეთ სამაზრო რევკომს, რაც გვინდოდა. ყურადღება მივაქციოთ ახლა ახმეტას: აქ არის უბნის მილიციის უფროსი ისეთი კაცი, რომელსაც თავისი სიცოცხლე გაუტარებია ბოქაულის სკამზე, მისი თანაშემწეც მისი მსგავსია. თუ მთავრობა სასტიკ ზომებს არ მიიღებს ასეთი მავნე პირების წინააღმდეგ, დიდი არევ-დარევა მოხდება ხალხში. ამას გარდა აუცილებელი საჭიროა აგიტატორები სოფლებში საჩქაროთ.

დ. კოზაევი.

**მანგლისი.**

კვირას 10 აპრილს მანგლისის რევკომის ინიციატორობით გაიმართა მანგლისში ამხ. გ. კობიძის ხელმძღვანელობით, დიდი კვირაობა. რომელშიაც მონაწილეობას ღებულობდა ყველა მოქალაქე 18-დგან 45 წლამდე.

კვირაობაზე მომუშავეებმა გაიყვანეს თხრილები, გაასუფთავეს ქუჩები, შეაკეთეს დანგრეული ხიდები, და მოაწესრიგეს საზაფხულო ბაღი. მუშაობამ გასტანა დილის 8 ს. ს ღამის 3 საათამდე, რის შემდეგ წითელი დროშებით და მარსელიეზის სიმღერით გამართეს მიტინგი. კვირაობა ძლიერ მხიარულად ჩატარდა და დიდი ნაყოფიც გამოიღო, მომავალ შაბათს გაიმართება შაბათობა უფრო დიდი პროგრამით.

გოგიტო ციმბირელი.

## წერილი რედ. მიმართ

ამხანაგო რედაქტორო!

მე, ყოფილი წევრი მენშევიკური პარტიისა, დავრწმუნდი რა რუსეთის პროლეტარული რევოლიუციის დიდი გამოცდილებით, რომ ერთად ერთი სწორი, უტყუარი გზა კომუნიზმისკენ არის პროლეტარიატის დიქტატურა და რომ პროლეტარიატის განთავისუფლება დღევანდელ პირობებში არ შეიძლება „დემოკრატიზმის გზით", რომელსაც ქადაგებდა ისტორიის მიერ უკვე განწირული მენშევიკური პარტია, ვაცხადებ ყველას გასაგონათ, რომ ამიერიდან მე ვსტოვებ ამ პარტიას და შევდივარ როგორც გულწრფელი, ერთგული, შეურყეველი, და პასუხისმგებელი წევრი დიად პროლეტარულ კომუნისტურ (ბოლშევიკების) პარტიაში, რომელსაც ყოველ წუთში შევწირო არამც თუ ჩემი რევოლიუციონური გამოცდილება, [...] ჩემი თავგანწირულებაც უკანასკნელ სისხლის წვეთამდე, ვინაიდან ეს პარტია არის ნამდვილი რევოლიუციონური, რომელიც ემსახურება მუშათა კლასს სიტყვით კი არა მხოლოთ, არამედ საქმითაც მის ბედ-იღბალს, და მით მთელ მომავალ კაცობრიობის ბედნიერებასაც.

ტრიფონ საგირაძე

— **საქართვ. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი** მოთავსებულია რუსთაველის პრ., № 22.

— **საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი**—რუსთაველის პრ., 22. ტელ. 5—74.

— 1-ლ რაიონის ბიურო—ჩერქეზიშვილის ქ. 136, თეატრი „ნაძალადევი". ტელ. 1—33.

— მე-2-რე რაიონის ბიურო—მიხეილის ქ № 87. ტელ. 5—69.

— მე-3-მე რაიონის ბიურო— ავლაბარი, კახეთის მოედანი. 5—58.

— მე-4-ხე რაიონის ბიურო—[...] ქ. 29 „მუშათა კლუბის" შენობაში. 9—52.

მე-5-თე რაიონის ბიურო—ბაზრის ქუჩა.

— **საქ. ახალგ. კომუნისტურ კავშირის ცეკა**—რუსთაველის პრ. 22.

**სარედაქციო კოლეგია.**

## ფოსტა

**კალე ფილდისოშვილს.** მივიღეთ ორივე. წავა. გააგრძელეთ.

## თბილისის სამაზრო სამხედრო კომისარი

აცხადებს, რომ თანახმათ სამხედრო და საზღვაო სახალხო კომისარიატის 11 აპრილის № 15 ბრძანებისა, უნდა ჩაირიცხონ ს. ს. ს. რ. წითელ ლაშქარში ყველა მოქალაქენი, დაბადებულნი 1899 და 1900 წ., გამოცხადებისაგან არ თავისუფლდებიან ის პირნიც, რომლებიც განთავისუფლდნენ სამსახურიდან, როგორც ოჯახის ერთათ ერთი მარჩენალი. უნდა გამოცხადდნენ ხელახლა შესამოწმებლათ ის პირნი, რომლებიც იყვნენ დროებით ან სამუდამოთ დათხოვნილი ავადმყოფობის გამო. გასაწვევ ჰასაკის ყველა მოწაფეთ და სტუდენტებს, რომლებიც ამ ჟამათ სწავლობენ, სასწავლებლის სათანადო მოწმობის წარმოდგენის შემდეგ, მიეცემათ მოწმობა ვადის გაგრძელების შესახებ შესაფერ დეკრეტის გამოსვლამდე. ვინაიდან ჩემდაში რწმუნებული კომისარიატი საბოლოვოთ ჯერ არ მოწყობილა, საუბნო სამხედრო ხელმძღვანელებს, რომლებიც დანიშნულია ქალაქში და მაზრებში, შეუკრებ პუნქტათ ენიშნავ ქ. თბილისს ჩემდამი რწმუნებულ კომისარიატის სამართველოსთან. (ფეირვერკის და ანდრეევის ქ. კუთხე № 17/53).

გამოცხადების წესი იქნება შემდეგი: 22 აპრილს უნდა გამოცხადდნენ ქ. თბილისის 1, 2, 3 და 4 უბანში მცხოვრებნი, 23 აპრილს—5, 6, 7 და ყველა ის, რომელიც 22 აპრილს სხვადასხვა მიზეზების გამო არ გამოცხადდნენ, 25,—8, 9 10, 26 აპრილს—11, 12, 13 უბნის და ყველანი, რომლებიც არ გამოცხადებულან წინა დღეებში, 27—ქალაქის მიდამოების, თბილისის მაზრის სართიჭალის და მოსკოვის რაიონების, 23 აპრილს—თბილისის მაზრის, საგარეჯოს, ყარაიაზის და ასურეთის რაიონები. 29 აპრილს—მანგლისის და ალგეთის (ბელი-კლუჩი).

თბილისის მაზრის რაიონების სამხედრო კომისარი ნადირაძე.

1 მაისითვის გამოვა საქართველოს წითელ ლაშქრის გაზეთი

## „წითელი მხედარი"

რედაქციის მისამართი: პოლიტიკური განათლების მთავარი მმართველობა. სახალხო განათლების კომისარიატთან.

## ცენტრალური გადამწმენდი კომისია

წინადადებას აძლევს მე 4 რაიონის ქვეით ჩამოთვლილ ამხანაგებს, გამოცხადდნენ 25—30 აპრილამდე აღნიშნულ კომისიაში, რომელიც იმყოფება საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტში, ცენტრალურ კომიტეტის (გოლოვინის პროსპ. № 22). საორგანიზაციო საინსტრუქციო ნაწილში: 1) ავაქოვი ხაჩატურ გრიგორისძე, 2) ტარაინცი კარაპეტ საქისისძე, 3) ვარშამოვი მიკირტიჩ ტარასისძე, 4) სუკნასოვი ლეონ სარქისისძე, 5) მიკირტიჩიანცი არშაკ პაშაევისძე, 6) ჩხეიძე მიხეილ სოლომონისძე, 7) თათუიშვილი ვასილ აბაკოსძე, 8) მარქ-როვი ჰაიკ სერგისძე, 9) მათვეევი მიხეილ ალექსანდრესძე, 10) მეცურიშვილი გიორგი კონსტანტინესძე, 11) კავალევსკი ნიკოლოზ ლავრენტისძე, 12) იოანისიანი პეტია სერგოსძე, 13) ტერ აბრამიანი დარია კარაპეტის ასული, 14) ვართაპეტოვი აშხენ ივანეს ასული, 15) ტაროგანესიანი მარიამ სააქის ასული, 16) გრიგორიანცი ყალიბეკ ავაქისძე; 17) სოლომჩენკო პეტრე ნაუმისძე, 18) გაბიჩვაძე სერგო დავითისძე, 19) ჯატუხაძე ბიქტორ ალექსანდრესძე, 20) ბერძენიშვილი პროკოპი თეოდორესძე, 21) კვინტრაძე ვასილ ქრისტეფორისძე, 22) სიკინჯალაშვილი არტემ გერასიმესძე.

ამ სიაში დასახელებული ამხანაგთაგანი, რომელიც არ გამოცხადდება, პარტიიდან გამორიცხულად ჩაითვლება.

ცენტრალური გადამწმენდი კომისია.

## საჭიროა ორი გამოცდილი მთარგმნელი

ერთი ბეჭდვითი საქმეში დახელოვნებული პიროვნება და ერთი კორექტორი ახალგ. „ფურცლისათვის". მსურველებმა შემოიარონ ახალგ. კომუნისტური კავშირის ცენტრალურ კომიტეტში, რუსთაველის პრ. № 22, მესამე სართული, პირობების გაგება შეიძლება მდივანთან.

საქ. ახალგ. კომუნ. კავშირის ცენტრალური კომიტეტი.

## ორგანიზაც. და დაწესებულებების საყურადღებოთ

ცხადდება, რომ გაზ. „კომუნისტში" დასაბეჭდი განცხადებები და ანგარიშები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე; სხვა ენაზე დაწერილი მასალა არ მიიღება



ეროვნული ბიბლიოთეკა